პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და სსრ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 268 (10044)

პარასკევი, 12 ნოემბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები მხურვალედ იწონებენ მოსკოველთა პატრიოტულ ინიციატივას (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დროს დაშვებული შეცდომების შესახებ (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში (1-ლი გვერდი).

საბჭოთა მშენებლობა. — გ. მეფისაშვილი. — საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის მუდმივი კომისია (მე-2 გვერდი).

ს. კინწურაშვილი. — ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება" (მე-3 გვერდი).

წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).

ესპანეთის კომუნისტური პარტიის მე-[illegible] (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის IX სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

ქართველი ბიბლიოთეკა

მეხილეთა და მევენახეთა საპატიო ამოცანა

უდიდესი ზეიმით აღნიშნა საბჭოთა ხალხმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავი. ამ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ნთელ საბჭოთა ხალხთან ერთად შესანიშნავი წარმატებებით შეხვედნენ. საბჭოთა ადამიანს ახარებს და ახალი შრომითი მამაცობისათვის აღაფრთოვანებს სსბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა სსბჭოს ცნობა საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებისა და სსბჭოთა მეურნეობების მიერ 1954 წლის ნოსაგლის ჰექტარის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ. გმირი საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს ყამრი და ნასვენი მიწების ათვისების ამოცანას.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმაღლობისათვის ბრძოლაში წარმატებანი ნოპოვებულია საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა თავდადებული შრომით. ეს წარმატებანი შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ სოფლისტური ქალაქი უდიდეს დახმარებას უწევს სოფლის მეურნეობას. მიმდინარე წელს ჩვენმა ინდუსტრიამ დიდი რაოდენობით ნოამარაგა სასოფლო-სამეურნეო წარმოება პირველხარისხოვანი ტექნიკით.

სოფლის მშრომელებმა ეს სერიოზული წარმატებანი სოფლის მეურნეობის დარგში მოიპოვეს კომუნისტური პარტიის ხრძნული ხელმძღვანელობით.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლის საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ საქართველოს მშრომელებს. ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და სსბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შესრულეს პური და ყურძნის დამზადების გეგმები. პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე ჩვენმა მეხბრეშემეებმა, ნექანიზატორებმა. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა გადამეტებით შესრულეს სატრაქტორო საშუშათა წლიური დავალება. კოლმეურნეები ხილის, შაქრის ჭარხლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალ მოსავალს იღებენ. ახლა მთავარია ის, რომ, საგვიანო კულტურების მოსავლის უდანაკარგოდ აღებასთან ერთად, წარმატებით შეასრულოთ მრავალწლიანი ნარგავების — კერძოდ, ხეხილის და ვაზის შემოდგომაზე დარგვის დავალებები.

კოლმეურნეებს ახალი ბაღების გაშენების დიდი გამოცდილება აქვთ. საქმე ის არის, რომ ხეხილის დარგვის გეგმას ასრულებდეს თვითეული კოლმეურნეობა. სამწუხაროდ, ამ მხრივ მთელ რიგ რაიონებში აშკარად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. ხეხილის საგაზაფხულო დარგვის დავალება არ შეასრულებიათ მცხეთის, ქარელის, ქუთაისის, საჩხერის, თიანეთის, ახალქალაქისა და სხვა რაიონებს. ამ რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ხეხილის კარგად არ უვლიან, ცალკეულ მნიშვნელოვან აგროტექნიკურ ღონისძიებებს დროულად არ ახორციელებენ, რის გამო ნოსავალსაც დაბალს იღებენ.

მოსალოდნელი იყო, რომ ის რაიონები, რომლებმაც გაზაფხულზე ვერ შეასრულეს ხეხილის ბაღის გაშენების დავალება, სათანადო დასკვნას გააკეთებდნენ შექმნილი მდგომარეობიდან, სწორად მოაწყობდნენ შრომას, უკეთ გამოიყენებდნენ ტექნიკას, რაც მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს აქვთ. ბაგრამაძე არ მოხდა. „კომუნისტს" მოსდის სიგნალები იმის შესახებ, რომ ზევრგან ჭიანურდება ხეხილის დასარგავად ნიადაგის მომზადება, საჭირო ზომებს არ იღებენ სარგავი მასალის დროულად მომარაგებისათვის. ამჟანად ამინდი ყოველმხრივ ხელსაყრელია ხეხილის დარგვის ტემპის გასაძლიერებლად. შემოდგომა მეტად პასუხსაგები სამუშაო პერიოდია მეხილეობაში. დარგვის საუკეთესო ვადები იწურება. თვითეული დღე მაქსიმალურად უნდა იქნას განოყენებული ხეხილის ბაღის გაშენების წლიური დავალების მთლიანად შესრულებისათვის.

მოწინავეთა გამოცდილება მოწმობს, რომ ამ დარგში დიდი შესაძლებლობანი სუსტად არის გამოყენებული. სარგავი მასალით კოლმეურნეობები მომარაგებული არიან, ჰყავთ საუკეთესო მებაღეები, ჰყავთ საუკეთესო მევენახეები, უხვი მოსავლის ოსტატები. მეხილეობის რაიონების პარტიულმა და სსბჭოთა ორგანიზაციებმა მსჯელობის საგნად უნდა გახადონ ახალი ბაღების გაშენების მდგომარეობა და ამთავითვე ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ საქმის წინ წასაწევად, ბოლო უნდა მოეღონ ბაღების დადგენილ აგროტექნიკურ ვადებში გაშენების შეუფასებლობას, აამაღლონ იმ მუშაკების პასუხისმგებლობა, რომლებსაც დავალებული აქვთ ამ სერიოზული საქმის შესრულება.

სამრეწველო ქალაქებისა და საკონსერვო მრეწველობის საადრეო ხილითმოცარაგების საქმეში მნიშვნელოვანია მარწყვის გაშენების დავალების შესრულება. სსბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების აღ სამუშაოებისადმი უდარდელი დამოკიდებულების შედეგად ეს დავალება ჩაშლის საფრთხემდე მიიყვანა გარეუბნის, მცხეთის, ზორჯომის, ქუთაისის რაიონებისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ზოგიერთმა კოლმეურნეობამ. ამ დავალების დროულად შესრულების ყველა პირობა იყო. ამას მოწმობს სამტრედიისა და წყალტუბოს რაიონების მაგალითი, სადაც მარწყვის გაშენების გეგმა დროულად შეასრულეს.

ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგან ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა ვენახის გასაშენებლად ნიადაგის კარგად მომზადებას. ნთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში ვაზის დარგვასაც არ შესდგომიან და საუკეთესო ამინდს ხელიდან უშვებენ. ვენახის გაშენების წლიური გეგმის შესრულებისათვის ნიადაგის მომზადების მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ორჯონიკიძის, თერჯოლის, ცაგერისა და სხვა რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებში. ამ შემოდგომაზე რესპუბლიკის კოლნეურნეობებში უნდა გაშენდეს 2.560 ჰექტარი ვენახი. თუ დარგვის ტემპი გადაჭრით არ გაძლიერდა, დავალების ვადაზე შესრულებას საფრთხე მოელის. კოლმეურნეობებმა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მთელი არსებული რეზერვები უნდა გამოიყენონ ამ საქმეების დასაჩქარებლად. წელს რესპუბლიკის მევენახეებმა საუკეთესოდ იმუშავეს და ყურძნის ბარაქიანი მოსავალი მოიყვანეს. მაგრამ ეს ოდნავაც არ იძლევა თვითდამშვიდების საბაბს. ამიკანა ის არის, რომ არ მიეცეთ თვითკმაყოფილებას, განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატებანი, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ ვაზის დარგვის დავალება შეასრულოს ყველა კოლმეურნეობამ და სსბჭოთა მეურნეობამ.

მრავალწლიანი ნარგავების გაშენებაში ჯერ კიდევ ვხვდებით აგროტექნიკის გაუბრალოებას, ნიადაგის ცუდად მომზადების ფაქტებს. სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ღირსებისა და სახელის საქმეა დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, გააძლიერონ კონტროლი ხეხილისა და ვაზის სარგავ სამუშაოთა ხარისხის დაცვისადმი.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მრავალწლიან ნარგავთა გაშენების გეგმების შესრულებაში იმით აიხსნება, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მთელი რიგი რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ურიგდებიან სერიოზულ ნაკლოვანებებს ამ საქმეში და არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობას დავალების მთლიანად შესრულების უზრუნველსაყოფად. დრო არ ითმენს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები, პარტიის რაიონული კომიტეტები და რაიონსაბჭოების აღმასკომები ვალდებული არიან ისეთივე სერიოზული ყურადღებით ნოეკიდონ ხეხილის ბაღების, ვენახებისა და სხვა მრავალწლიანი კულტურების გაშენების გეგმების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებას, როგორც თესვას, მოსავლის აღებას და სხვა სამუშაოებს.

საკოლმეურნეო სოფელში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა. მეხილეობისა და მევენახეობის რაიონების პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნე გლეხობის, ნექანიზატორთა, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სოციალისტურ შეჯიბრებას, წარმართონ მათი შრომითი საქმიანობა და შემოქმედებითი ინიციატივა და გამოიყენონ იგი საერთო აღმავლობის მისაღწევად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი სსბჭოს პრეზიდიუმმა იმასთან დაკავშირებით, რომ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის შემადგენლობას გამოაკლდა ზოგიერთი მისი წევრი, შეავსო კომიტეტი უცხო ქვეყნებისა და სსბჭოთა კავშირის დემოკრატიული საზოგადოებრიობის შემდეგი წარმომადგენლებით: ანა ზეგერსი — ნწერალი (გერმანია), სჰჰიბ სინგ სოკხეი — მეცნიერი მიკრობიოლოგი, ინდოეთის პარლამენტის შტატების სსბჭოს წევრი, ანტონიო ბანფი — მილანის უნივერსიტეტის პროფესორი (იტალია), ალექსანდროვი გრიგოლ ვასილის-ძე — კინორეჟისორი (სსრ კავშირი).

რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები მხურვალედ იწონებენ მოსკოველთა პატრიოტულ ინიციატივას

გუშინ რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნდა ქალაქ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ვალდებულებები და მოწოდება შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

მოსკოველთა მოწოდებამ მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში. ამ მოწოდების შინაარსს აგიტატორები აცნობენ მუშებს და ინჟინერ-ტექნიკოსებს, რომლებიც გამოთქვამენ მზადყოფნას ჩაებან ამ დიდ მოძრაობაში — მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის მასობრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საქართველოს პროფსაბჭოში

ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ ქალაქ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების პატრიოტული მოწოდების გამო საქართველოს პროფსაბჭოში გაიმართა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების თავმჯდომარეები, პროფსაბჭოს განყოფილებათა გამგეები, ჯგუფკომებისა და თბილისის ზოგიერთი საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეები.

თათბირზე აღინიშნა, რომ ფართოდ უნდა დავუჭიროთ მხარი მოსკოველთა თაოსნობას შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე განაღდებისა და დაწესებული ასორტიმენტის ნაწარმის გამომუშავებისათვის. საჭიროა მოსკოველთა ეს ინიციატივა გავაცნოთ თვითეულ მუშას, ბრიგადას, ცვლას, საამქროს. ყველგან უნდა გავაჩაღოთ მოსამზადებელი მუშაობა, ოპერატიულად შევისწავლოთ და გავითვალისწინოთ საწარმოს ყველა რეალური შესაძლებლობა.

ერთსულოვანი გადაწყვეტილება

გუშინ, 11 ნოემბერს, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში გაიმართა მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების საერთო კრება მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ საკითხის განსახილველად.

კომბინატის კოლექტივმა მოსკოველთა პასუხად ერთხმად გადაწყვიტა ჩაებას სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა შემდეგი ვალდებულებები:

მეხუთე ხუთწლედის დავალებები საერთო პროდუქციისა და ნართის გამოშვების მიხედვით შეასრულოს 1955 წლის 7 ნოემბრისათვის, ქალის წინდების გამოშვების დავალება კი — 1955 წლის 1 ივლისისათვის;

ხუთწლედის ბოლოსათვის სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 13.800 ათასი მანეთის პროდუქცია: აქედან — 432 ტონა ნართი და 783.000 წყვილი ქალის წინდა;

მიაღწიოს დანადგართა წარმადობის ზრდას დართვაში — 12 პროცენტით, ძაფსაგრეხ დანადგარებზე — 28 პროცენტით და ტრიკოტაჟის ქსოვაში — 22 პროცენტით.

უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა კიდევ 12,5 პროცენტით.

მეგაღაურგების პასუხი

რუსთავი. (ტელეფონით საკ. კორ.). მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მოწოდებას შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების და მეხუთე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ საკითხის განსახილველად.

კომბინატის კოლექტივმა მოსკოველთა პასუხად ერთხმად გადაწყვიტა ჩაებას სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა შემდეგი ვალდებულებები:

მეხუთე ხუთწლედის დავალებები საერთო პროდუქციისა და ნართის გამოშვების მიხედვით შეასრულოს 1955 წლის 7 ნოემბრისათვის, ქალის წინდების გამოშვების დავალება კი — 1955 წლის 1 ივლისისათვის;

ხუთწლედის ბოლოსათვის სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 13.800 ათასი მანეთის პროდუქცია: აქედან — 432 ტონა ნართი და 783.000 წყვილი ქალის წინდა;

მიაღწიოს დანადგართა წარმადობის ზრდას დართვაში — 12 პროცენტით, ძაფსაგრეხ დანადგარებზე — 28 პროცენტით და ტრიკოტაჟის ქსოვაში — 22 პროცენტით.

უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა კიდევ 12,5 პროცენტით.

მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების საერთო სურვილი

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საინსტრუმენტო საამქროს მუშებმა დიდი ყურადღებით მოუსმინეს აგიტატორ მ. მარიკიანს, რომელიც მათ ესაუბრა მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მოწოდებაზე მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. მოსკოველთა მოწოდების პასუხად საამქროს მოწინავე მუშებმა და ბრიგადებმა გადიდებული საწარმო ვალდებულებები იკისრეს. ზეინკალმა ი. თაბუაშვილმა, რომელიც ამჟამად 1960 წლის ანგარიშში მუშაობს, აღნიშნა, რომ იგი 1960 წლის დავალებას მიმდინარე წლის 5 დეკემბრისათვის გაანაღდებს.

ბრიგადირმა გ. ღვინიაშვილმა მწრთობელთა ბრიგადის სახელით იკისრა 1956 წლის საწარმოო დავალების წელსვე განაღდება.

მოსკოველთა ინიციატივას ასევე საერთო მხარდაჭერით და მოწონებით ხვდებიან რესპუბლიკის ამ უძველესი საწარმოს სხვა საამქროებში. მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები მასობრივად გამოთქვამენ მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის სურვილს.

მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებით საერთო აღმავლობისაკენ

სადილობისათვის შესვენებისას თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის მექანიკურ საამქროში აგიტატორნა თ. ალიბეგაშვილმა მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური ვალდებულების გაცნობის შემდეგ საამქროს მუშებს განუცხადა:

— ჩვენმა საწარმომ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება წარმატებით გაანაღდა, წლიური გეგმა 1 ნოემბრისათვის 101 პროცენტით შეასრულა, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 56 პროცენტით გაადიდა, ხოლო თვითეული ჩარხის თვითღირებულება გასულ წელთან შედარებით 7.300 მანეთით შეამცირა.

ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ჩვენი ქარხნის კოლექტივს შეუძლია მეხუთე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული პროდუქცია ვადაზე ადრე გამოუშვას. ეს კი ჩვენი წარმოების თვითეული მუშაკისაგან მოითხოვს უფრო მეტი მზრუნველობა გამოიჩინოს შრომის ნაყოფიერების, როგორც წარმოების ზრდის ძირითადი პირობის, შემდგომი გადიდებისათვის.

აგიტატორის საუბრის დამთავრების შემდეგ ხარატმა ი. გორბაჩოვმა აწხანაგებს მოუწოდა გაძლიერონ ბრძოლა ადგილობრივი რეზერვების გამოსავლინებლად, მიაღწიონ სახარატო ჩარხის თვითეული დეტალის დამზადებისათვის საჭირო დროის შემცირებას, რაც მათ დიდად დაეხმარება შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, მეხუთე ხუთწლედის ვადამდე განაღდებაში.

გორბაჩოვის აღ წინადადებას მხარი დაუჭირა კ. ხეჩენოვმა. მან თქვა: — ჩვენთან მრავალმა მუშამ დიდი ხანია ხუთწლედის დავალება შეასრულა, ხოლო ორ ათეულზე მეტი მუშა დღეში სამ ნორმას ასრულებს. თუ ამ მოწინავე ადამიანების გაცოცდილებას ყველა მუშის კუთვნილებად გავხდით, მაშინ ხუთწლედის ვადამდე შესრულება უზრუნველყოფილი იქნება.

მოსკოველთა პატრიოტული თაოსნობის შესახებ აგიტატორებმა საუბრები გამართეს სხვა საამქროებშიც.

აღგილობრივი რეზერვების გამოყენების გზით

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის საძარე საამქროში დილის შესვენებისას საამქროს აგიტატორმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა პ. ბუხიგულაშვილმა საამქროს მთელ კოლექტივს უამბო იმის შესახებ, რომ სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის და მოსკოვის მთელი რიგი სხვა მოწინავე საწარმოების კოლექტივებმა მოწოდებით მიმართეს ჩვენი ქვეყნის რეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკოსს და მოსამსახურეს გაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად, უზრუნველყონ ხუთწლედის ვადამდე განაღდება როგორც პროდუქციის გამოშვების, ისე ნაკეთობათა ასორტიმენტის მიხედვით.

მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური ვალდებულებების გულდასმით გაცნობის შემდეგ ქარხნის მოწინავე დურგალმა ლ. ჭელიძემ განაცხადა:

— ჩვენი ქარხნის კოლექტივს არანაკლები რეზერვები აქვს იმისათვის, რომ ვადამდე უზრუნველყოს მეხუთე ხუთწლედის შესრულება. ამისათვის საჭიროა უნარიანად გამოვავლინოთ და გამოვიყენოთ ეს რეზერვები.

— სავსებით ვუჭერ მხარს ამხ. ჭელიძის წინადადებას, — თქვა მეთუნუქე ა. სიმონიანმა. — ჩვენთან ცოტანი როდი არიან ისეთი მუშები, რომლებმაც მეხუთე ხუთწლედის დავალებები უკვე დიდი ხანია გაანაღდეს. სხვა ვალდებულებებთან ერთად ვკისრულობ დავეხმარო ახალმოსულ მუშებს შრომის გაუმჯობესებული მეთოდების დაუფლებაში.

მოსკოველთა პატრიოტული ინიციატივის შესახებ აგიტატორებმა საუბრები მოაწყეს ქარხნის ყველა საამქროში.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივი გაეცნო მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების ინიციატივას მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. **სურათზე:** აგიტატორი პ. მუხიგულაშვილი თავის საგიტაციო ჯგუფს უკითხავს გაზეთს მოსკოველთა თაოსნობის შესახებ.

მოსკოველთა მაგალითისამებრ

ლენინგრადი, 11 ნოემბერი. (საკდესი). მოსკოვის მოწინავე საწარმოთა მაგალითისამებრ ლენინგრადის ქარხნებისა და ფაბრიკების კოლექტივები სოციალისტურ შეჯიბრებას აჩაღებენ მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

მოლოტოვის სახელობის ქარხნის ფოლადსადგენავ და მავთულ-ბაგირის საამქროებში ხალხმრავალი კრებები გაიმართა. ამ საწარმოს მუშებმა უკვე ნიაღწიეს წარმოების იმ დონეს, რომელიც დაგეგმილია მეხუთე ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის. ამა წლის ათი თვის მანძილზე ქარხანამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 12 მილიონი მანეთის პროდუქცია.

მოსკოველთა მოწოდების პასუხად ქარხნის მეტალურგებმა ვალდებულება იკისრეს 1955 წლის ივლისში შეასრულონ პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა, უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზრდა ხუთწლედის მანძილზე 64 პროცენტით.

აქტიურად ჩაიარა გუშინ ავტომატი ჩარხების ქარხნის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკთა კრებამ. მეხუთე ხუთწლედის დასაწყისიდან ჩარხშენებლებმა 98 პროცენტით გაადიდეს შრომის ნაყოფიერება 1950 წელთან შედარებით, ნევრად გაზარდეს პროდუქციის განოშვება, აითვისეს მთელი რიგი ახალი ჩარხების წარმოება. ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 1955 წლის ივლისში შეასრულოს ხუთწლიანი გეგმა. დასახულია განხორციელდეს მექანიზაცია გადიდებული სიზუსტის ავტომატებისა და სახარატო-რევოლვერული ჩარხების აწყობის მთელი რიგი პროცესებისა, რომლებიც ხელით სრულდება, ფართოდ გამოყენებულ იქნას ფოლადის ზუსტი სხმა, ცივი და ცხელი ტვიფრვა და სხვა სიახლეები. ეს შესაძლებლობას მისცემს საწარმოს მომავალ წელს ერთიანად და უფრო მეტად გადიდოს შრომის ნაყოფიერება 1950 წელთან შედარებით და 12 პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება წელს მიღწეულ დონესთან შედარებით.

კიევი. კიევის საწარმოებში განიხილავენ მოსკოველთა პატრიოტულ თაოსნობას.

ქარხანა „ტრანსსიგნალის" კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 1955 წლის მაისში შეასრულოს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა, რაც დაწესებულია 1951-1955 წლებისათვის, ხუთწლედის ბოლოსდე დამატებით დაამზადოს სულ ცოტა 20 მილიონი მანეთის პროდუქცია, მომავალი წლის ივნისისათვის 89 პროცენტით გაადიდოს შრომის ნაყოფიერება 1950 წელთან შედარებით.

ლენინის სახელობის ქარხნის მუშებმა და სპეციალისტებმა, რომლებიც ტრაქტორების სათადარიგო ნაწილებს ამზადებენ, ვალდებულება იკისრეს 1955 წლის 1 ოქტომბრისათვის შეასრულონ ხუთწლედის გეგმა, ხოლო ამა წლის დამლევისათვის შეასრულონ შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალება, რაც გათვალისწინებულია მეხუთე ხუთწლედის ბოლოსათვის.

კიევის ჟრეშუმის კომბინატის ფეიერვერკმა ვალდებულება იკისრეს 1955 წლის 1 სექტემბრისათვის შეასრულონ ხუნერვრივი აბრეშუმის ნზა ქსოვილის გამოშვების მეხუთე ხუთწლედის გეგმა და ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით გამოუშვან ნახევარი მილიონი მეტრი აბრეშუმის ქსოვილები.

მეხუთე ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულების ვალდებულებანი იკისრეს გორკის სახელობის ავტომატი ჩარხების ქარხნის, სმირნოვ-ლასტოჩკინის სახელობის სამკერვალო ფაბრიკისა და კიევის სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

მაგნიტოგორსკის მეგაღაურგებთან

მაგნიტოგორსკი, 10 ნოემბერი. (საკდესი). მაგნიტოგორსკის კომბინატის მეტალურგები განამტკიცებენ იმ წარმატებებს, რომლებიც მოიპოვეს საოქტომბრო შეჯიბრებაში. საწარმო გადაჭარბებით ასრულებს მადნის ამოღების, კოქსის გამოწვის, თუჯისა და ფოლადის გამოდნობის დავალებებს.

ბევრი ზეგეგმითი ლითონი გამოუშვა ამ დღეებში მესამე მარტენის საამქროს კოლექტივმა. აქ ყველა ბრიგადა ეუფლება ფოლადის დნობის უახლეს ეეთოდებს. მეფოლადე ბოგაშევმა წელს მთელი საათით შეამცირა გამოდნობის ხანგრძლივობა და დავალების დამატებით გამოადნო ხუთი ათას ტონაზე მეტი ლითონი.

ლითონის გამოდნობას სხვა საამქროთა კოლექტივებიც ზრდიან. პირველ მარტენის საამქროში ბუკინისა და მისი შემცვლელების ჩერნოვისა და სიგბატულინის მეფოლადეთა ბრიგადა ერთნახევარი-ორი საათით უსწრებს გრაფიკს და ყოველდღე უშვებს 20 ტონით მეტ ზეგეგმით ფოლადს, ვიდრე ოქტომბერში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დროს დაშვებული შეცდომების შესახებ

კომუნისტური პარტია თავისი პროგრამის შესაბამისად ეწევა მატერიალისტური მსოფლმხედველობის მეცნიერულ-საგანმანათლებლო პროპაგანდას, რომლის მიზანია მშრომელი მასების შეგნებას განუწყვეტელი ამაღლება და მათი თანდათანობით განთავისუფლება რელიგიურ ცრურწმენათაგან. ამასთან პარტიას მუდამ საჭიროდ მიაჩნდა მორწმუნეთა გრძნობის ყოველგვარი შეურაცხყოფის თავიდან აცილება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ხელთ აქვს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამ ბოლო ხანს მთელ რიგ ადგილებში მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დროს დაშვებულია უხეში შეცდომები.

ტუნებათმეცნიერული ცოდნის პროპაგანდის დარგში სისტემატური გულმოდგინე მუშაობის გაწევისა და რელიგიის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის ნაცვლად, ცალკეულ ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებში, აგრეთვე ზოგიერთი ლექტორისა და მომხსენებლის გამოსვლებში დაშვებულია შეურაცხმყოფელი გამოხდომები სამღვდელოებისა და მორწმუნეთა წინააღმდეგ, რომლებიც რელიგიურ წესებს ასრულებენ. არის შემთხვევები, როცა პრესის ფურცლებზე და პროპაგანდისტთა სიტყვიერ გამოსვლებში რელიგიური კულტების ზოგიერთი მსახური და მორწმუნე სრულიად უსაფუძვლოდ გამოჰყავთ ადამიანებად, რომლებიც არ არიან პოლიტიკური ნდობის ღირსნი. მთელ რიგ რაიონებში ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა პირებმა დაუშვეს რელიგიურ გაერთიანებათა და ჯგუფთა საქმიანობაში ადმინისტრაციული ჩარევის, აგრეთვე სამღვდელოებისადმი უხეში მოპყრობის შემთხვევები.

ამგვარი შეცდომები ანტირელიგიურ პროპაგანდაში ძირეულად ეწინააღმდეგება კომუნისტური პარტიის პროგრამას და პოლიტიკას რელიგიისა და მორწმუნეთა მიმართ, არღვევს პარტიის არაერთგზის მითითებას, რომ შეუწყნარებელია მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ხელთ აქვს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამ ბოლო ხანს მთელ რიგ ადგილებში მოსახლეობაში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დროს დაშვებულია უხეში შეცდომები.

ტუნებათმეცნიერული ცოდნის პროპაგანდის დარგში სისტემატური გულმოდგინე მუშაობის გაწევისა და რელიგიის წინააღმდეგ იდეური ბრძოლის ნაცვლად, ცალკეულ ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებში, აგრეთვე ზოგიერთი ლექტორისა და მომხსენებლის გამოსვლებში დაშვებულია შეურაცხმყოფელი გამოხდომები სამღვდელოებისა და მორწმუნეთა წინააღმდეგ, რომლებიც რელიგიურ წესებს ასრულებენ. არის შემთხვევები, როცა პრესის ფურცლებზე და პროპაგანდისტთა სიტყვიერ გამოსვლებში რელიგიური კულტების ზოგიერთი მსახური და მორწმუნე სრულიად უსაფუძვლოდ გამოჰყავთ ადამიანებად, რომლებიც არ არიან პოლიტიკური ნდობის ღირსნი. მთელ რიგ რაიონებში ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა პირებმა დაუშვეს რელიგიურ გაერთიანებათა და ჯგუფთა საქმიანობაში ადმინისტრაციული ჩარევის, აგრეთვე სამღვდელოებისადმი უხეში მოპყრობის შემთხვევები.

ამგვარი შეცდომები ანტირელიგიურ პროპაგანდაში ძირეულად ეწინააღმდეგება კომუნისტური პარტიის პროგრამას და პოლიტიკას რელიგიისა და მორწმუნეთა მიმართ, არღვევს პარტიის არაერთგზის მითითებას, რომ შეუწყნარებელია მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს არასწორად მიაჩნია, რომ ბევრი პარტიული ორგანიზაცია თავს არიდებს მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის საქმის ყოველდღიურ ხელმძღვანელობას, არ ზრუნავს პროპაგანდისტთა კადრების გულდასმით შერჩევისათვის. პრესაში გამოსვლას, ლექციებისა და მოხსენებების წაკითხვას ხშირად ავალებენ მეცნიერებაში და ათეისტური პროპაგანდის საკითხებში უმეცარ ადამიანებს, ხოლო ზოგჯერ მოხალტურეებსაც, რომლებმაც იციან, უმთავრესად, მხოლოდ ანეგდოტები და ზღაპრები ეკლესიის მსახურთა შესახებ. სტატიების ავტორების, ლექტორების, მომხსენებლების შერჩევისადმი ასეთი უპასუხისმგებლო მიდგომა და ის, რომ პარტიული ორგანიზაციები ჯერჯერობით არ უწევენ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის სწორად წარმართვას, სერიოზულ ზიანს აყენებს მოსახლეობაში წარმოებულ ალმზრდელობითს, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

დაევალოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და ყველა პარტიულ ორგანიზაციას გადაჭრით აღმოფხვრან შეცდომები ათეისტურ პროპაგანდაში და ამიერიდან არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან მორწმუნეთა და ეკლესიის მსახურთა გრძნობების რაიმე შეურაცხყოფა, აგრეთვე ეკლესიის საქმიანობაში ადმინისტრაციული ჩარევა. საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ეკლესიის, სამღვდელოების, მორწმუნე მოქალაქეთა მიმართ შეურაცხმყოფელი მოქმედება შეუთავსებელია პარტიისა და სახელმწიფოს ხაზთან მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის საქმეში და ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციას, რომელიც სინდისის თავისუფლებას ანიჭებს საბჭოთა მოქალაქეებს.

სსრ კავშირში ცხოვრების სოციალურ-ეკონომიური პირობების ღრმა ცვლილებების, ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციისა და სოციალიზმის გამარჯვების შედეგად, მეცნიერების წარმატებით განვითარებისა და ჩვენი ქვეყნის კულტურის დონის საერთო ზრდის შედეგად საბჭოთა კავშირის მოსახლეობის უმრავლესობა უკვე დიდი ხანია განთავისუფლდა რელიგიური გადმონაშთებისაგან, განუზომლად გაიზარდა მშრომელთა შეგნება. ამასთან ერთად არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის, რომ არიან ისეთი მოქალაქენიც, რომლებიც, აქტიურად მონაწილეობენ რა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და პატიოსნად იხდიან რა სამშობლოს წინაშე თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობას, ჯერ კიდევ სხვადასხვაგვარი რელიგიური რწმენის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. პარტია მუდამ მოითხოვდა და მომავალშიც მოითხოვს ამ მორწმუნე ადამიანებისადმი გულისხმიერ, ყურადღებით მოპყრობას. მით უფრო სულელური და საზიანოა, რომ ესა თუ ის საბჭოთა მოქალაქე პოლიტიკურად საეჭვოდ მივიჩნიოთ მისი რელიგიური რწმენის გამო. ღრმა, მოთმინებითი, უნარიანად მოწყობილი მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა მორწმუნეთა შორის ხელს შეუწყობს მათ იმაში, რომ ბოლოს და ბოლოს განთავისუფლდნენ რელიგიურ ცრურწმენათაგან. პირიქით, მორწმუნეთა და ეკლესიის მსახურთა წინააღმდეგ ყოველგვარ ადმინისტრაციულ ღონისძიებებსა და შეურაცხმყოფელ გამოხდომებს შეუძლია მოიტანოს მხოლოდ ზიანი, განუმტკიცოს და კიდევაც გაუძლიეროს მათ რელიგიური ცრურწმენანი.

მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ არ შეიძლება გავაიგივეოთ ეკლესიის მდგომარეობა სოციალიზმის ქვეყანაში და ეკლესიის მდგომარეობა ექსპლოატატორულ საზოგადოებაში. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ეკლესია დასაყრდენი და იარაღია გაბატონებული კლასებისა, რომლებიც იყენებენ მას მშრომელთა დამონების მიზნით. ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ცალკეულ ეკლესიის მსახურთ კაპიტალისტურ საზოგადოებაშიც შეუძლიათ პოლიტიკის მთელ რიგ ძირითად საკითხებში დაადგნენ და კიდევაც ადგებიან მშრომელთა თვალსაზრისს. მაგრამ ეკლესიის ეს მსახურნი თავიანთი ქცევის გამო, რომელიც ეწინააღმდეგება ექსპლოატატორული კლასების ინტერესებს, განიცდიან, როგორც წესი, ყოველგვარ დევნას კაპიტალისტური ქვეყნების ეკლესიისა და მთავრობის წრეების მხრივ.

მეფის რუსეთში ეკლესია ერთგულად ემსახურებოდა თვითმპყრობელობას, მემამულეებსა და კაპიტალისტებს, ამართლებდა ხალხის მასების სასტიკ ექსპლოატაციას, მხარს უჭერდა ექსპლოატატორებს მშრომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. აგრეთვე ცნობილია, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე, სამოქალაქო ომის წლებში და უფრო გვიან ბევრ რელიგიურ ორგანიზაციასა და სამღვდელოების ჯგუფებს მტრულად ეჭირათ თავი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ამასთან დაკავშირებით კულტის ცალკეულ მსახურთ სახელმწიფო სამართალში აძლევდა არა რელიგიური, არამედ მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობისათვის, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ხალხის ინტერესების წინააღმდეგ და ხორციელდებოდა შინაგანი კონტრრევოლუციისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის საამებლად. ამიტომ ბუნებრივია, რომ საბჭოთა ხალხის ბრძოლა სოციალისტური სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ შეიცავდა ეკლესიის იმ რეაქციონერ წარმომადგენელთა წინააღმდეგ ბრძოლასაც, რომლებიც ეწეოდნენ საბჭოთა ხალხისადმი მტრულ საქმიანობას. ამჟამად სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისა და ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის შედეგად, შერყეულია რელიგიის სოციალური ფესვები, მოსპობილია ის ბაზა, რომელსაც ეკლესია ემყარებოდა. ეკლესიის მსახურთა უმრავლესობასაც, როგორც ფაქტები მოწმობენ, ახლა ლოიალური პოზიციები უკავია საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ამიტომ ბრძოლა რელიგიურ ცრურწმენათა წინააღმდეგ ამჟამად უნდა მივიჩნიოთ მეცნიერული, მატერიალისტური მსოფლმხედველობის იდეოლოგიურ ბრძოლად ანტიმეცნიერული, რელიგიური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ.

ანტირელიგიურ პროპაგანდაში დაშვებულ შეცდომათა გამოსწორებამ არ უნდა გამოიწვიოს შესუსტება მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდისა, რომელიც მშრომელთა კომუნისტური აღზრდის შემადგენელი ნაწილია და მიზნად ისახავს მეცნიერული, მატერიალისტური ცოდნის გავრცელებას მასებში და მორწმუნე ადამიანთა განთავისუფლებას რელიგიურ ცრურწმენათა გავლენისაგან.

თუ სახელმწიფოს მიმართ რელიგია კერძო საქმეა და ამიტომ ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, კომუნისტურ პარტიას, რომელიც ერთადერთ სწორ მეცნიერულ მსოფლმხედველობას — მარქსიზმ-ლენინიზმსა და მის თეორიულ საფუძველს — დიალექტიკურ მატერიალიზმს ეყრდნობა, — არ შეუძლია გულგრილად, ნეიტრალურად მოეკიდოს რელიგიას, როგორც ისეთ იდეოლოგიას, რომელსაც მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს.

ჩვენს პარტიას მუდამ მიაჩნდა და მიაჩნია თავის აუცილებელ მოვალეობად მთელი ძალებით და საშუალებებით შეუწყოს ხელი საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებას. მხოლოდ თანამედროვე მოწინავე მეცნიერების საფუძველზე შეიძლება ბუნების სიმდიდრის ყოველმხრივი და სრული გამოყენება მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის. მხოლოდ მეცნიერების საფუძველზე შეიძლება მივაღწიოთ ახალ დიდ ალმავლობას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი მძლავრი განვითარება, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება და ამით მნიშვნელოვნად გავუმჯობესოთ ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და ავამაღლოთ მისი კულტურული დონე. ამის საფუძველზე, კომუნისტური პარტია საბჭოთა ადამიანებს ზრდის მეცნიერული მსოფლმხედველობის სულისკვეთებით და იდეურ ბრძოლას ეწევა რელიგიური იდეოლოგიის, როგორც ანტიმეცნიერული იდეოლოგიის წინააღმდეგ. აშკარაა მეცნიერებისა და რელიგიის ძირეული წინააღმდეგობა. თუ მეცნიერება ემყარება ფაქტებს, მეცნიერულ ექსპერიმენტს და ზუსტად შემოწმებულ, ცხოვრებით დადასტურებულ დასკვნებს, ყოველი რელიგია ემყარება მარტო ბიბლიისა და სხვა გადმოცემებს, ფანტასტიკურ ჭორებს. თანამედროვე მეცნიერული მიღწევები ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში დამაჯერებლად ამპარტავნებენ რელიგიურ დოგმებს. მეცნიერება ვერ შეურიგდება რელიგიურ მოგონილ წარმოდგენებს ბუნებისა და ადამიანის ცხოვრების შესახებ, ამიტომ იგი შეუთავსებელია რელიგიასთან. მეცნიერება იხმარება კაცობრიობას იმაში, რომ სულ უფრო ღრმად შეიცნოს ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები, მეცნიერება ხელს უწყობს ბუნების ძალების ჩაყენებას ადამიანის სამსახურში, ადამიანის შეგნების ამაღლებასა და კულტურის ზრდას. რელიგია კი აბნელებს ადამიანის შეგნებას, განუმზადებს მას პასიურობას ბუნების ძალების წინაშე, ბოჭავს მის შემოქმედებითს აქტივობასა და ინიციატივას.

ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, პარტიას საჭიროდ მიაჩნია წარმოებდეს ღრმა სისტემატური მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა, მაგრამ ამასთან დაშვებულ არ უნდა იქნას მორწმუნეთა, აგრეთვე კულტის მსახურთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდას საფუძვლად უნდა დაედოს პოპულარული ახსნა-განმარტება ბუნებისა და საზოგადოების ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა, ისეთი საკითხებისა, როგორიც არის სამყაროს აღნაგობა, სიცოცხლისა და ადამიანის წარმოშობა დედამიწაზე, მიღწევები ასტრონომიის, ბიოლოგიის, ფიზიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიისა და სხვა მეცნიერებათა დარგში, რომლებიც ადასტურებენ ბუნებისა და საზოგადოების განვითარებაზე მატერიალისტურ შეხედულებათა სისწორეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის წარმოება მოითხოვს უაღრესად ყურადღებითს, მზრუნველობითს მოპყრობას ლექტორების, მომხსენებლების, ანტირელიგიურ თემებზე სტატიათა და ნაროშუერათა ავტორების შერჩევისადმი. ამ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნან მეცნიერულად განსაკუთრებით კვალიფიციური კადრები: სკოლების მასწავლებლები, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლები, ექიმები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების მუშაკები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები და სხვები, რომლებსაც უნარი შესწევთ მატერიალისტური მსოფლმხედველობის პოზიციებიდან დამაჯერებლად განმარტონ რელიგიის ანტიმეცნიერული ხასიათი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტს მიაჩნია, რომ დადებითი შედეგები აღმზრდელობითს მუშაობაში, რომლის მიზანია რელიგიური გადმონაშთების დაძლევა, შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ იმ პირობით, თუ შემდგომ ამაღლდება მთელი ჩვენი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მშრომელთა შორის, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება კულტურის სასახლეების, კლუბების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოების, ლექტორიუმების, კულტურისა და დასვენების პარკების და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა. ამიტომ პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ ძირეულად გაუმჯობესონ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მოსახლეობაში და ამით მიაღწიონ მშრომელთა კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ხრუშჩოვი.

1954 წ. 10 ნოემბერი („პრავდა“, 11/XI).

თბილისი. ძაფსართავი ფაბრიკის ინჟინერმა ლ. ჩოფიკაშვილმა 28 ოქტომბრისათვის გაანაღდა წლიური დავალება და იყისრა ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება.
სურათზე: ლ. ჩოფიკაშვილი დაზგასთან.

ფოტო შ. ბეჟანიშვილისა.

რესპუბლიკის საწარმოებში და მშენებლობებზე

(ჩვენ გვწერენ)

ფოთის სამანქანო-საექსკავატორო სადგურმა, რომელსაც შენარჩუნებული აქვს საკავშირო პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა, 20 ოქტომბრისათვის შეასრულა წლიური გეგმა. დაწინაურდა მეექსკავატორე მ. ალანიას ბრიგადა, რომელმაც წლიური გეგმით გათვალისწინებული 68.000 კუბმეტრის ნაცვლად შეასრულა 83,5 ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაო.

ტრესტ „საქნავთდამამძიმებლის“ ბოლნისის საწარმოთა კოლექტივმა მიმდინარე წლის გეგმა 5 ნოემბრისათვის გაანაღდა და გეგმის გადამეტებით სამშობლოს რამდენიმე ათასი ტონა ბარიტი მისცა.

ბარიტის მოპოვების გადიდებისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანაღდეს მექვენის სამთო რაიონის მაღაროელებმა, რომლებმაც იკისრეს წლიური გეგმის 5 დეკემბრისათვის შესრულება.

ბორჯომის სალიანდაგო დისტანციის კოლექტივმა 1 ნოემბრისათვის 127 პროცენტით შეასრულა ლიანდაგის საშუალო შეკეთების წლიური გეგმა და 136 პროცენტით — მოსახვევთა გამაგრების გეგმა.

სიონის წყალსაცავის მშენებლობაზე საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მიბეტონეებიდან კომკავშირელ გ. ბუჯიაშვილის ბრიგადა, მექანიკოსებიდან — ვ. სონიძის ბრიგადა, ელექტროშემდუღებლებიდან — მ. კელასოვის ბრიგადა და ელექტრომემონტაჟეებიდან — ა. კრავჩენკოს ბრიგადა.

ტყიბულჰესის მშენებლებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მიეკუთვნა ინჟინერ დ. ორჯონიკიძის სამშენებლო უბნის კოლექტივს, რომელსაც გადაეცა მშენებლობის სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა.

დაწინაურდა ორჯონიკიძის სახელოგის მაღაროს

ჭიათურა. (საკ. კორ). მარგანეცის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივმა 5 ნოემბრისათვის შეასრულა მადნის მოპოვების თერმეტი თვის გეგმა. მაღაროში დაწინაურდნენ კენჭოშვილის, თაბაგარისა და სიჭინავას უბნები.

კარგად მუშაობს მადნის გამაუხვეველი ფაბრიკის კოლექტივიც, რომელსაც ინჟინერი ნიკოლაძე ხელმძღვანელობს.

ქვანახშირის მოპოვებაში დაწინაურებული შახტი

ტყიბული. (საკ. კორ.). შესანიშნავი მაჩვენებლები მოიპოვა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელმაც 10 ნოემბერს მეორე ცვლაში შეასრულა ქვანახშირის მოპოვების 11 თვის გეგმა.

კარგი მაჩვენებლები აქვს ამ შახტის კოლექტივს შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ბრძოლაშიც. წელს 10 თვესა და 10 დღეში გასული წლის 11 თვესთან შედარებით შახტში მომუშავეთა შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 22,7 პროცენტით, ხოლო ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შემცირებულ იქნა 2 მან. და 79 კაპ. მარტო სამაგრი მასალის, ელექტროენერგიისა და სხვა რესურსების ეკონომიის შედეგად შახტის კოლექტივმა 391 ათასი მანეთი დაგროვება მოგვცა.

ამჟამად აქ დიდი ინტერესით ეცნობიან მოსკოვის მოწინავე საწარმოთა თაოსნობას მიმდინარე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

საგაზეთო მშენებლობა

საქალაქო საბჭოს აღგილობრივი მრეწველობის მუდმივი კომისია

ქუთაისს საკმაოდ მძლავრი ადგილობრივი მრეწველობა აქვს. მისი საწარმოების მიერ გამოშვებულ პროდუქციას დიდი ხვედრითი წონა აქვს ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად განკუთვნილი ფართო მოხმარების საგნების ბალანსში.

ამ წერილით ჩვენ გვინდა მკითხველებს მოვუთხროთ, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის მუდმივი კომისია ამ საწარმოთა გამართული მუშაობისათვის.

...ერთ დღეს ქუთაისის ქიმიური ქარხნის ეკონომისტი ვ. გეგელია ტყავფეხსაცმლის კომბინატში მივიდა.

—მოგმართავთ არა როგორც დირექტორს, არამედ როგორც ადგილობრივი მრეწველობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს, — უთხრა მან კომბინატის დირექტორს ამხ. გ. დალაქიშვილს. — ჩვენს საწარმოს შესაძლებლობა აქვს ტყავის ქარხნის ნარჩენი გადაამუშაოს და მისგან საოჯახო საპონი დაამზადოს. საჭიროა თქვენი დახმარება.

კომისიის თავმჯდომარეს ეს წინადადება მოეწონა. საკითხის დაზუსტება მიენდო დეპუტატ ს. ღვინერიას და აქტივისტს გ. ჩიღუნაძეს.

ისინი დაწვრილებით გაეცნენ ქიმიური ქარხნის საამქროებს, ტექნოლოგიურ პროცესებს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ იქ მართლაც შეიძლებოდა ტყავის ნარჩენი ცხიმეულის გადამუშავება. ამ დღეებში ქარხანა უკვე შეუდგა საპნის გამოშვებას. საპონი საუკეთესო ხარისხისაა და მომხმარებელთა მოწონებას იმსახურებს. ნარჩენებისაგან ქარხანა ახლა ყოველდღიურად 300 კილოგრამ საპონს უშვებს.

აქტივისტთა ინიციატივით იმავე საწარმოში გამოინახა საშუალება ტყავის ანათალისაგან დაემზადებინათ ძვირფასი საშუნი მასალა — ხის წებო, რასაც აგრეთვე კარგი შეფასება მისცეს ქალაქის ახალმშენებლობათა მუშაკებმა.

ადგილობრივი მრეწველობის მუდმივი კომისია აქტიურად ეხმაურება მშრომელთა წინადადებებსა და საჩივრებს, ენერგიულად იბრძვის საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად.

ამას წინათ კომისიამ მიიღო სიგხალი ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ძიმუშავე არტელების „შეკავშირების“, „სარეწაო კომბინატის“ და „დამკვრელის“ მიერ დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების შესახებ. კომისია მაშინვე შეუდგა მდგომარეობის შესწავლას. გამოირკვა, რომ აღნიშნული არტელების საამქროებში კუსტარულად ამზადებდნენ საზედაპირე ტყავს — „ლაქს“, ფეხსაცმელი იკერებოდა ტექნოლოგიური პროცესებისა და სახელმწიფო სტანდარტის დარღვევით. ეს საკითხი კომისიამ საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე გამოიტანა, დამნაშავენი მკაცრად დაისაჯნენ.

კომისია თავის სამუშაო გეგმაში მნიშვნელოვან, საყურადღებო საკითხებს ითვალისწინებს. მაგალითად, ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებისათვის წარმოების კულტურის საკითხი მტკივნეული იყო. მთელ რიგ საწარმოებში (ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ფართო მოხმარების საგნების გამომშვები საწარმო და სხვ.) დაბალ დონეზე იდგა წარმოების კულტურა, ცუდი იყო სანიტარულ-ტექნიკური პირობები, ზოგან ტექნიკური უსაშიშრობის წესებს არ იცავდნენ. მაგალითად, ტრიკოტაჟის ფაბრიკის საქსოვ საამქროში საქსოვ დაზგებს შეკეთებული არ ჰქონდა მავთულის ბადეები. საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ ამ საკითხზე იმსჯელა კომისიამ. საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომამ განიხილა საკითხი და მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო ზომები მიიღო.

მუდმივ კომისიას გარკვეული წვლილი შეაქვს სამრეწველო კომბინატს მუშაობის გაუმჯობესებაში. დეპუტატები და აქტივისტები: მ. ქუთათელაძე, ვ. გვანცელაძე, ნ. ნარეშელაშვილი, ე. ხაზარაძე, შ. თადუმაძე, გ. გეგენიძე დაინტერესებული არიან ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა გამართული მუშაობისათვის და კეთილსინდისიერად ასრულებენ ყოველ დავალებას.

ამჟამად ქალაქის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები 80-ზე მეტი სახის პროდუქციას ამზადებენ. აქ გამომშვებული პირსაბანები, საწოლები, ავეჯი, ქსოვილები და სხვ. მომხმარებელთა მოწონებით სარგებლობს. მაგრამ ასე არ თქმის ყველა პროდუქციაზე. მაგალითად, ტყავის ხარისხი კვლავ დაბალია.

ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში სხვა ნაკლიც არის. ჯერ კიდევ ვერ იყენებენ ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების მდიდარ შესაძლებლობას. მოუგვარებელია ტექნიკური მასალებით კომბინატის საწარმოთა მომარაგება. წელს ეს საქმე მიენდო საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგგმო კომისიას, მაგრამ მან ვერ უზრუნველყო ამ დავალების შესრულება. საწარმოების გამართულ მუშაობას ხელს უშლის აგრეთვე საამქროების დაქუცმაცებულობა, რაც იწვევს შრომისა და საწარმოო დისციპლინის შესუსტებას. ზოგჯერ სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებს. ეს საქალაქო საბჭოს აღმასკომს ავალებს უკეთესად უხელმძღვანელოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს, გადამჭრელი ზომები მიიღოს მათს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ქ. ქუთაისში უახლოეს ერთნახევარორ წელიწადში შეიქმნება ადგილობრივი მრეწველობის მძლავრი საწარმოები, რომელთა მშენებლობასა და დამონტაჟებზე 30 მილიონი მანეთი დაიხარჯება. ორი წლის შემდეგ ადგილობრივი მრეწველობის ყველა საწარმო გამოუშვებს 100 მილიონზე მეტი მანეთის პროდუქციას.

საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის მუდმივ კომისიას კარგი მუშაობის პირობებში ბევრი საქმიანი საგგმო რამის გაკეთება შეუძლია ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად.

გ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

კულტურული დასვენების კერა

პლეხანოვის სახელობის კლუბი თბილისის ლენინის რაიონის ცენტრალური კლუბია. იგი მომსახურებას უწევს არა მარტო სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მრავალრიცხოვან კოლექტივს, არამედ მთელი რაიონის მშრომელებსაც. კლუბში შექმნილია წრეები: დრამატული (ხელმძღვანელი ა. მაჩაბელი), მომღერალთა (ხელმძღვანელი ნ. ბახტაძე), ჭოროგრაფიული (ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. ხახტაძე), ლიტერატურული (ხელმძღვანელი პოეტი ვ. გორგანელი) და სხვ.

ნაყოფიერად მუშაობს დრამატული წრე. ეს წრე სცენაზე დასადგმელად აწყობდა როგორც ქართველ კლასიკოსთა დრამატულ ნაწარმოებებს, ისე თანამედროვე, აქტუალურ თემაზე დაწერილ პიესებს. წელს წარმოდგენილი იყო ა. წერეთლის „პატარა კახი“, ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. მზადდება პიესები — ნ. კანდელაკის „მეცხვარი სოფლად“ და ა. აფხაიძის „მოულოდნელი შემთხვევა“. პიესებში როლების უმეტესობას მუშები ასრულებენ.

კლუბის დრამატული კოლექტივი ხშირად აწყობს საღამო-კონცერტებს ლენინის რაიონის სხვადასხვა საწარმოში. მრავალი საღამო-კონცერტი გამართეს კასპში, მცხეთაში, რუსთავსა და საგარეჯოში, აგრეთვე მარტყოფის მტს-ში, რომელსაც კლუბი შეფობას უწევს.

მომდინარე წლის ზაფხულში რკინიგზელის დღესთან დაკავშირებით მოსკოვსა და ლენინგრადში გამართულ კონცერტებზე განსაკუთრებით ისახელეს თავი კლუბის თვითმოქმედი კოლექტივის ანალგაზრდა მოცეკვავეებმა ლ. ჭელიძემ, ლ. ასათიანმა, ო. ხრიკულმა.

კლუბის მომღერალთა გუნდმა (ხელმძღვანელი ს. ჭოლოკავა) ხალხურ სიმღერებთან ერთად დაამუშავა ახალი ქართული სიმღერები „დიდებულ ხანას ვუმღერით“ (ნუსიკა ვ. ჭუმბურიძისა, ტექსტი მ. გრიგოლიშვილისა), რომელიც მიძღვნილია დიადი კომუნისტური პარტიისადმი, და „კომუნიზმის გზაზე“ (მუსიკა ვ. ცაგარეიშვილისა, ტექსტი ვ. გორგანელისა).

ლიტერატურული წრე მუდმივად არის დაკავშირებული კლუბთან არსებული მუშათა ბიბლიოთეკის მუშაობასთან. ეს ბიბლიოთეკა (გამგე ფ. ჭოლოკავა) ერთ-ერთი უძველესი მუშათა ბიბლიოთეკაა საქართველოში.

ოდესღაც ბნელ სარდაფში მოთავსებულ საქარხნო ბიბლიოთეკას ახლა ფართო, ნათელი ოთახები უკავია და აქვს ოცი ათასზე მეტი წიგნი ქართულ და რუსულ ენებზე. აქ ხშირად იმართება მკითხველთა კონფერენციები და მხატვრული დილა-საღამოები, ეწყობა შეხვედრები მოწინავე მუშებთან, წარჩინების ნოვატორებთან. ლიტერატურული წრისა და ბიბლიოთეკის მკითხველთა ძალებით გაიმართა ა. ჩეხოვისა და ნ. ოსტროვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოები. ავტორების თანდასწრებით ბიბლიოთეკაში განხილულ იქნა ა. გეწაძის ლექსების წიგნი „ჩემი ასეული“ და რ. ინანიშვილის პირველი მოთხრობების კრებული.

ბიბლიოთეკამ გამოჰყო ლიტერატურის ფონდი ყაზახეთში ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად წასული ქართველი ახალგაზრდობისათვის და უკვე გაუგზავნა მათ ათასი ცალი წიგნი.

მზადდება ლ. ქიაჩელის ცხოვრებისა და ნოღვაწეობისადმი მიძღვნილი მკითხველთა კონფერენცია. ქარხანაში ეწყობა ადგილობრივი რადიოგადაცემა. კარგად მუშაობს კლუბის კედლის გაზეთი „კულტმუშაკი“.

წერილები რედაქციას

ნაკლოვანებანი ზამთრისათვის მზადებაში

რკინიგზის ტრანსპორტზე ზამთრისათვის მზადება ახლა ყველგან დამთავრებული უნდა იყოს. ნავთლუღის კვანძზე ამ მხრივ საგრძნობლად ჩამორჩებიან.

მაგალითად, სექტემბერში უნდა დაემთავრებინათ სატვირთო საწყობების მოპაჭფალტება, მაგრამ ამიერკავკასიის რკინიგზის კომერციული სამსახურის მოუქნელი მუშაობის გამო ეს საქმე ჯერაც არ დაუწყიათ. თბილისის დატვირთვა-გადმოტვირთვის კანტორას, რომელიც მომსახურებას უწევს ნავთლუღის კვანძს, მტვირთავი მუშებისათვის არ მოუმარაგებია ზამთარში სამუშაოდ საჭირო იარაღი და ხელსაწყოები. გზის თბილისის განყოფილების ელექტროფიკაციის სექტორს არ განუახლებია მუშაობა სადგურის ტერიტორიაზე სალიანდაგო ისრებში ელექტროგაყვანილობის შესაცვლელად, თუმცა ეს სამუშაო ორი წლის წინათ არის დაწყებული.

იმის გამო, რომ გზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური არ დაეხმარა კავშირგაბმულობის ნავთლუღის დისტანციას და საკმაო რაოდენობით არ მისცა საღებავი, ზამთრისათვის შეუღებავი რჩება მთელი რიგი სასიგნალო ნიშნები.

ის, რაც ზემოთ ითქვა, „წვრილმანებია“ ზამთრისათვის მზადებაში. მაგრამ საჭიროა ამ წვრილმანებსაც მიექცეს ყურადღება, რათა ზამთრის პერიოდში მოსალოდნელი ყოველგვარი არასახურველობა ახლავე ავიცილოთ თავიდან.

ვ. ძნელაძე.

როდემდის გაგრძელდება ასე?

ბოდბისხევი სიღნაღის რაიონში საკმაოდ მოზრდილი სოფელია: აქ არის ორი კოლმეურნეობა, საშუალო სკოლა, საექიმო უბანი, სასოფლო კლუბი, საკოლმეურნეო კულტურის სახლი და სხვა დაწესებულებანი. ბოდბისხეველმა კოლმეურნეებმა კარგახანია ბინებში ელექტროგაყვანილობა მოაწყეს, გაიყვანეს რადიოქსელი, ელექტრობოძები ჩაყარეს სოფლის შარაგზაზე და ელნათურებიც გაუკეთეს. მაგრამ სოფლის შარაგზები კვლავ ჩაბნელებულია. სიარული ძნელდება. რადიორეპროდუქტორები დუმს. არა მარტო ტრანსპორტს, წვიმის დროს ადამიანებსაც უჭირს გავლა. ერთ წელზე მეტია გაბრეს წყლის მილების ჩასაწყობი არხი. მილებში წყალი მოდის, არხიდან ამოყრილი მიწა ჯერ კიდევ მოუსწორებელია. ეს კარგად იციან სასოფლო საბჭოს აღმასკომმა და კოლმეურნეობათა გამგეობებმა, მაგრამ დღემდე არავითარ ზომებს არ იღებენ.

საინტერესოა, როდემდის გაგრძელდება ასე?

გ. ტუხაშვილი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„დავიცვათ დედაქალაქში მტკიცე სანიტარული წესრიგი“

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილა გაზეთ „კომუნისტის“ 30 სექტემბრის ნომერში ამ სათაურით მოთავსებული წერილი. კრიტიკა ქალაქის სანიტარული წესრიგის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე სწორად იქნა ცნობილი.

ქალაქში სანიმუშო სისუფთავისა და წესრიგის დამყარების უზრუნველსაყოფად საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო ვრცელი გადაწყვეტილება. რაიონული საბჭოების აღმასკომების კომუნალური მეურნეობის განყოფილებათა გამგეებს, საბინაო სამმართველოების უფროსებსა და სანიტარული დასუფთავების კინტორების უფროსებს დაევალათ მტკიცე კონტროლი დაწესონ ქუჩების, ტროტუარების, საცხოვრებელი სახლებისა და მათი ეზოების შენახვისადმი, ხშირად მოაწყონ საცხოვრებელი სახლების სანიტარული მდგომარეობის მასობრივი შემოწმება, სისტემატური მეთვალყურეობა გაუწიონ მეეზოვეთა მუშაობას. გადაწყვეტილება ითვალისწინებს აგრეთვე სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის ორგანოებთან ერთად საუწყებო და კერძო მფლობელთა სახლების ეზოების სანიტარული მდგომარეობის შემოწმებას. მიღებულია ზომები წერილში დასახელებული სახლების ეზოებში სათანადო სანიტარული წესრიგის დამყარებისა და ქუჩებისა და კანალიზაციის მილების შესაკეთებელ სამუშაოთა სასწრაფოდ დამთავრებისათვის.

სანიტარული წესრიგის დარღვევაში დამნაშავე პირები დასჯილი არიან.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

თელავის რაიონიდან სოფლკორი რედაქციას სწერდა: სკოლებში სიმღერის სწავლების ხარისხი დაბალია, სასწავლებლები ჯერ კიდევ არ არიან უზრუნველყოფილი სიმღერა-მუსიკის საკმაოდ კვალიფიციური კადრებით, სახელმძღვანელოებით. განათლების ორგანოები სკოლებს საჭირო კონტროლსა და დახმარებას არ უწევენ.

რედაქციამ წერილი ზომების მისაღებად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაუგზავნა. როგორც საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო იტყობინება, განზრახულია უახლოეს ხანში საფუძვლიანად შეამოწმონ ამ საგნის სწავლება, საგუნდო-საწრეო მუშაობა რესპუბლიკის სკოლებში და დასახონ ღონისძიებანი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ახლო მომავალში სკოლებში სიმღერა-მუსიკის სწავლების საქმეში ჩაბაბან მუსიკალური სკოლების მასწავლებლები და სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებულები. გარდა ამისა, განზრახულია უახლოეს დროში გამოიცეს სიმღერა-მუსიკის სახელმძღვანელო, რომელშიც შევა მოქმედი პროგრამით გათვალისწინებული ყველა მასალა.



ლაგოდეხი. საშუალო სკოლის ახალი შენობა.

ფოტო შ. გოჭაძისა.

მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს

ჯერ კიდევ ზაფხულში ახალციხის რაიონის სკოლებისათვის უნდა მოეზიდათ 1.800 კუბური მეტრი შეშა და 900 ტონა ქვანახშირი. ეს დავალება დღემდე სანახევროდაც არ არის შესრულებული.

ზამთარს მოუმზადებელი ხვდება წნისის 8-წლიანი სკოლა. მე-5 კლასის ოთახი ნესტიანი და უვარგისია, კედელი ინგრევა. ჩამტვრეულია ფანჯრის მინები, შემოუკავებელია სკოლის ეზო. სკოლის დირექციამ შენობის შესაკეთებლად 5 თვის წინათ 10.000 მანეთი ჩაურიცხა სოფელ კლდის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას, მაგრამ ეს თანხა ახლაც გამოუყენებელია. ამავე კოლმეურნეობას დავალებული ჰქონდა სკოლაში მოეზიდა 50 კუბური მეტრი შეშა. არც ეს დავალებაა განაღდებული. ასეთი მდგომარეობა არ აფიქრებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ი. გოგოლაძეს და სკოლის დირექტორს გ. კოპაძეს.

სამწუხაროდ, ასეთ ფაქტებს ვხვდებით რაიონის ბევრ სკოლაში. სარემონტო სამუშაოები უხარისხოდ შეასრულეს მუგარეთის 8-წლიან სკოლაში. ჩამტვრეულია 11 ფანჯრის მინა, მოუმარაგებელია შეშა. ზამთარში მოწაფეებს მეცადინეობა ცივ ოთახებში მოუხდებათ.

აწყურის საშუალო სკოლას ზამთარში ნორმალური მუშაობისათვის სჭირდება 50 ტონა ქვანახშირი და 50 კუბური მეტრი შეშა. დღემდე მხოლოდ 10 კუბური მეტრი შეშაა მოზიდული.

ზივილიის 8-წლიან სკოლას აკლია 20 კუბური მეტრი შეშა. ასეთივე მდგომარეობაა ქ. ახალციხის პირველ, მეორე, სოფელ სვირის საშუალო, კლდის, საყუნეთის, ჭვინთის, ანის 8-წლიან და ტატანეთის დაწყებით სკოლებში.

მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა იმსჯელა სკოლების სათბობით უზრუნველყოფის საკითხზე, მაგრამ მდგომარეობა უცვლელია. რაიონის სახალხო განათლების განყოფილება (გამგე ამხ. ლ. აბაშიძე) ნაკლებად ზრუნავს სკოლების სათბობით მომარაგებაზე.

აქედან სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა.

ე. ხარებავა,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ნიჭიერი ახალგაზრდობის მუსიკალურ სკოლაში

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლა-ინტერნატში სწავლობენ მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები, რომელთა უმრავლესობა ჩამოსულია რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან.

სკოლა-ინტერნატმა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა აღზარდა, მათ შორის არიან თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები ზ. ანჯაფარიძე, თ. მუშკუდიანა, კომპოზიტორი ბ. კვერნაძე და სხვები.

ამჟამად სკოლა-ინტერნატში სწავლობს 46 ახალგაზრდა. კარგად სწავლობენ ფ. ალბოროვი (სტალინირიდან), გ. ცომაია (ფოთიდან), ნ. მალიკოვა (გარდაბნის რაიონიდან), შ. ნადირაძე (ახალქალაქიდან), ტ. ვეფხვაძე (ორჯონიკიძის რაიონიდან), რ. ხუციკილავა (სამტრედიიდან) და სხვები.

ავტომძღოლები სოფლის მეურნეობას

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს ცენტრალურ ავტოსკოლაში და მის 10 ფილიალში ამ დღეებში ავტომძღოლთა სამთვიანი კურსები დაამთავრა 350 ახალგაზრდამ.

მიმდინარე წელს ავტოსკოლამ და მისმა ფილიალებმა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის მოამზადეს 1.190 ავტომძღოლი. აქედან 750 კაცი, რომლებიც კურსებზე ჩამოსული იყვნენ სასოფლო რაიონებიდან, გაგზავნილია საწარმოდ მტს-ებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე სატყეო მრეწველობის სამინისტროს ხაზით.

წლის ბოლომდე სკოლა მოამზადებს კიდევ 400 ავტომძღოლს.

ესპანეთის კომუნისტური პარტიის მე-5 ყრილობა

პარიზი, 5 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, 1-დან 5 ნოემბრამდე გაიმართა ესპანეთის კომუნისტური პარტიის მე-5 ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა ესპანეთის ყველა ოლქიდან, აგრეთვე კატალონიის ეროვნულ-ანტიფაშისტურ ერთიანობა-ში [illegible] ესპანეთის [illegible] ეროვნული [illegible] ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო ადრეული პარტიის ახალი წესდება.

დასასრულ ყრილობის დელეგატებმა აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელშიც შედის 39 წევრი და 22 წევრობის კანდიდატი. ცენტრალური კომიტეტის ახალ შემადგენლობაშია 35 მუშა, 7 სოფლის მეურნეობის მუშა და გლეხი და 19 ინტელიგენციის წარმომადგენელი. ყრილობის შემდეგ გაიმართა ახალი ცენტრალური კომიტეტის პირველი სხდომა, რომელმაც პარტიის გენერალურ მდივნად ერთხმად აირჩია დოლორეს იბარური. ცენტრალური კომიტეტის ახალი პოლიტბიუროს შემადგენლობაში არიან სანტიაგო კარილიო, ფერნანდო კლაუდინი, მანუელ კრისტობალი, მანუელ დელიკადო, იგნასიო გალეგო, ენრიკე ლისტერი, ანტონიო მიხე, ვისენტე ურიბე.

აღგანეთის ხუთწლედის პირმშო

ი. ბ. სტალინის სახელობის საფეიქრო კომბინატში

ტირანა, 11 ნოემბერი. (საკდესი). ი. ბ. სტალინის სახელობის ტირანის საფეიქრო კომბინატი, რომელიც სამი წლის წინათ აშენდა საბჭოთა კავშირის დახმარებით, ალბანეთის ხუთწლედის პირმშოა. ეს ალბანეთის ერთ-ერთი უაღრესად დიდი საწარმოა, იგი აღჭურვილია უახლესი საბჭოთა მოწყობილობით.

კომბინატის კოლექტივმა საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით მნიშვნელოვანი შედეგები მოიპოვა ახალი ტექნიკის ათვისებაში. მაგალითად, მწყოველი ემინა ხტიმი, რომელიც წინათ ორ დაზგას ამუშავებდა, ახლა 12 დაზგას ამუშავებს; მქსოველები მუაზეს სალახი და ეფთიმი ლეო 16 დაზგას ამუშავებენ. ოსტატის თანაშემწე საფეი ალუში 1951 წელს 8 დაზგას ემსახურებოდა, ახლა 48 დაზგას ემსახურება.

მუშათა კვალიფიკაციის ზრდამ შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად გადიდებულიყო შრომის ნაყოფიერება. მაგალითად, შარშან კომბინატმა 94 პროცენტით მეტი ბამბაზიის ქსოვილი გამოუშვა, ვიდრე წინა წელს. თუ 1953 წლის მესამე კვარტალში საქსოვი ფაბრიკის ერთი დაზგა ცვლაში 29 მეტრ ჩითს უშვებდა, მიმდინარე წლის მესამე კვარტალში უკვე 34 მეტრს უშვებს.

კომბინატთან გახსნილია საფეიქრო ტექნიკუმი, რომელმაც სამ წელიწადში 2 ათასზე მეტი კვალიფიციური სპეციალისტი მოამზადა. გარდა ამისა, მუშაობს კვალიფიკაციის შეძენისა და გაუმჯობესების კურსები. კურსებს ყოველწლიურად ამთავრებს 1.200-მდე კაცი.

უდიდესი ყურადღება ექცევა მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. მათთვის აშენებულია ახალი საცხოვრებელი სახლები, გახსნილია კლუბი, საავადმყოფო, საბავშვო ბაღი, საბავშვო ბალი, მაღაზიები და სხვ. მარტო წელს მშენებლობის საჭიროებას 30 მილიონი ლეკი მოხმარდა.

კომბინატის კოლექტივი ემზადება ღირსეულად აღნიშნოს მოახლოებული დღესასწაული — ალბანეთის განთავისუფლების მე-10 წლისთავი. საწარმოში ფართოვდება შრომითი შეჯიბრება მიმდინარე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სრულიად ჩინეთის დემოკრატ ქალთა ფედერაციის პროტესტი

პეკინი, 11 ნოემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას საააგენტო იუწყება, სრულიად ჩინეთის დემოკრატ ქალთა ფედერაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს გაუგზავნა საპროტესტო დეპეშა ამის წინააღმდეგ, რომ დემოკრატ ქალთა საერთაშორისო ფედერაციას უკანონოდ ჩამოერთვა საკონსულტაციო სტატუსი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში.

„ჩვენ, ჩინელი ქალები, — ნათქვამია დეპეშაში, — მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ იმ რეზოლუციის წინააღმდეგ, რომელიც 1954 წლის 6 აპრილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურმა და სოციალურმა საბჭომ მიიღო იმის შესახებ, რომ დემოკრატ ქალთა საერთაშორისო ფედერაციას ჩამოერთვას „ბ“ კატეგორიის არასამთავრობო ორგანიზაციათა საკონსულტაციო სტატუსი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრესტიჟის შენარჩუნების ინტერესებისათვის და საერთაშორისო მშვიდობისა და ქალთა და ბავშვთა კეთილდღეობის ინტერესებისათვის გენერალურმა ასამბლეამ უნდა გაუქმოს ეს გაუმართლებელი გადაწყვეტილება და დაუყოვნებლივ დაუბრუნოს დემოკრატ ქალთა საერთაშორისო ფედერაციას საკონსულტაციო სტატუსი, რის უფლებაც მას აქვს ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში“.

ახალი დანიშვნები ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიაში

პეკინი, 10 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას საააგენტო იუწყება:

გუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის სარდლობაში განახორციელა შემდეგი დანიშვნები:

სუ იუი დანიშნულია ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გენერალური შტაბის უფროსად; ლიუ ბო-ჩენი — მთავარი სასწავლო სამმართველოს უფროსად; ლო ჟუნ-ხუანი — მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსად და კადრების მთავარი სამმართველოს უფროსად; ე ძიან-ინი — შეიარაღებული ძალების მთავარ ინსპექტორად; ხუან კე-ცინი — სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ზურგის უფროსად; იან ლი-სანი — საფინანსო სამმართველოს უფროსად.

დანიშვნები განხორციელებულია იმ გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელიც 8 ნოემბერს მიიღო სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის სხდომამ.

ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“

ამ დღეებში ქართველმა მკითხველმა მიიღო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანოს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მესამე ნომერი.

„საბჭოთა ხელოვნების“ გამოცემით დიდი შეაძლებლობა აქვს ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ქართული საბჭოთა ხელოვნების ნიმუშების პროპაგანდისათვის. ამიერიდან რესპუბლიკის ხელოვნების შემოქმედებითს მუშაკებს საშუალება აქვთ უფრო ფართოდ გაუზიარონ ურთიერთს გამოცდილება, განიზოგადონ მიღწეულები, პირუთვნელად მიუთითონ ნაკლოვანებებზე.

სპეციალური ჟურნალის გამოცემით განსაკუთრებით დიდი საშუალებები და ამოცანები აქვს ქართველი სპეციალისტებს ქართველ ხალხთან ერთად ეროვნული ფორმის ფეხზე დაყენებისა და ეროვნული ფორმის ფეხზე ყენის ბედნიერ ეპოქაში. მათ ჟურნალის ფურცლებზე მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის თვალსაზრისით უნდა გააშუქონ ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების გზები, კრიტიკულად განიხილონ საბჭოთა ხელოვნების ცალკეული ნაწარმოებები, იბრძოლონ ხელოვნებაში ღრმა იდეურობისა და მხატვრული ფორმის სრულყოფისათვის, ხელოვნების პარტიულობისათვის.

ამ სქელტანიანი ჟურნალების ერთი გადახედვით მიღებული საერთო შთაბეჭდილება ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელია — ძვირფასი ცარცის ქაღალდი, ახალი მკაფიო ქართული შრიფტი, სტატიების დასაწყისი შეჩეულია თავისებურად; რედაქციის ავტორთა დიდი კოლექტივი შემოუკრებია. ამიტომ ჟურნალში ვხვდებით ყველაფერი ავტორების მიერ დაწერილ ზოგიერთ საინტერესო მასალას. ასევე ძირითადად დამაკმაყოფილებელია ილუსტრაციების პოლიგრაფიული მხარე.

მიუხედავად ამისა, „საბჭოთა ხელოვნების“ პირველი სამი ნომერი თავისუფალი არ არის ნაკლოვანებებისაგან.

ჟურნალის სარეცენზიო ნომრები თემატურად მეტად მრავალმხრივია. არ არის ქართული საბჭოთა ხელოვნების თითქმის არც ერთი დარგი, რომლის შესახებ აქ სტატია არ იყოს.

მაგრამ ამის გამო „საბჭოთა ხელოვნების“ პირველი ნომრები გადატვირთული გამოვიდა (ჟურნალის № 1-2-ში მოთავსებულია 45, ხოლო № 3-ში 24 სტატია. ამას ემატება ჩანართი ფურცლები, ფოტოქრონიკა, ხელოვნების ქრონიკა და სხვა „წვრილმანი“). ყველა მოვლენის, საკითხის, ხელოვნების ყველა დარგის, ჟანრის ერთ ნომერში ჩვენება შეუძლებელია. სარედაქციო კოლეგიას კი, ჩანს, ეს განუზრახავს და ამიტომ მივიღეთ ზოგჯერ მეტად მოკლე სტატიები, რომლებშიც ავტორები მასალის ანალიზის, განზოგადების ნაცვლად სჯერდებიან ზოგად, არადამჯერებელ დასკვნებს, ხშირად მხოლოდ ფაქტების კომპატაციას.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჟურნალში ასეთი დიდი მასალის განაწილება, თავისთავად ცხადია, ძნელი იყო. ამიტომ მასალის განაწილება ხშირად შემთხვევით ხასიათს ატარებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გვხვდება თვალში „საბჭოთა ხელოვნების“ № 3-ში 1953 წლის რესპუბლიკური სამხატვრო გამოფენის სხვადასხვა დარგებისადმი მიძღვნილი სტატიების დაქაოსი. ამის და სხვა ამგვარი მაგალითების გამართლება ჟურნალის ერთგვარი „გაკოცხლების“ სურვილით არ შეიძლება. სტატიები დალაგებული უნდა იყოს დარგობრივად ერთიანი, გასაგები, ნათელი გეგმით და თანმიმდევრობით, რაც მკითხველს დაეხმარება საჭირო მასალის მონახვასა და უკეთ გაცნობაში.

„საბჭოთა ხელოვნების“ სარეცენზიო ნომრებში მოთავსებული ზოგიერთი სტატია პრინციპულ ხასიათს ატარებს, მათში ქართული ხელოვნების ზოგიერთი ნიმუში საქმის ცოდნით არის გარჩეული. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია ბ. ხუციშვილ წერილი ქართული საბჭოთა ოპერის ჩამორჩენის მიზეზების შესახებ, გ. ძნელაძის სტატია სათეატრო ნაგებობების სასცენო ნაწილების დაპროექტებაში და მშენებლობაში დაშვებული შეცდომების შესახებ, მ. ქავთარაძის წერილი იტალიის პროგრესულ კინოხელოვნებაზე და სხვ.

აგრეთვე აღსანიშნავია ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნეების ა. წულუკიძის („ქართული მუსიკის ახალი ნაწარმოებები“) და ნ. ჯანბერიძის („მთავრობის სახლის წინა კორპუსის არქიტექტურა“) სტატიები.

მაგრამ ჟურნალის პირველ სამ ნომერში სპარბობს სტატიები, რომლებიც მოკლებული არიან ღრმა ანალიზს, კრიტიკულ ხასიათს. ამ წერილების საერთო ტონი ასეთია — აღწერილობითი, აუღიღლეველი თხრობა. ასეთი წერილები ჟურნალის № 3-ში უფრო მეტია. ამ უკანასკნელ ნომერში არ არის არც ერთი ზოგადთეორიული, პრობლემატური ხასიათის სტატია. თუმცა ცალკეულ წერილებში გვხვდება „ზომიერი“ კრიტიკა, მაგრამ იგი მეტწილად არ გამომდინარეობს ნაწარმოების, ხელოვანის შემოქმედების ღრმა ანალიზიდან.

ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალური მეცნიერულ-კრიტიკული ჟურნალი უნდა ამ-ხელდეს ისეთ ავტორებს, რომლებიც ერთმანეთს სწყვეტენ იდეურ მხარეს და მხატვრულ ფორმას, ნიჰილისტურად ეკიდებიან ფორმის ანალიზს და ამით ხელოვნების ნიმუშებს უკარგავენ მათთვის დამახასიათებელ სპეციფიურობას. ამგვარი სტატიები კი, როგორც აღვნიშნეთ, „საბჭოთა ხელოვნების“ პირველ ნომრებში გვხვდება. ამ სტატიების ავტორები იდეურ-მხატვრული ანალიზის ნაცვლად სჯერდებიან ზერელე, არაფერისმთქმელ ფრაზებს, სუბიექტურ დასკვნებს და პათეტიკური შეძახილებით სურთ დაარეკონ მკითხველი ამა თუ იმ ნაწარმოების ან შემოქმედების ავსა თუ კარგზე (ჟურნალში საკმაოდ ხშირად ვხვდებით ეპითეტებს — შესანიშნავი, გულში ჩამწვდომი, მშვენიერი, ბრწყინვალე, ამაღელვებელი და ა. შ.).

ამ მხრივ გამოირჩევა თეატრალური დადგმებისა და ცალკეულ შემოქმედთა შესახებ დაწერილი სტატიები. მოვიყვანთ მაგალითებს. ჟურნალის № 1-2-ში მოთავსებულ ნ. გურაბანიძის და მ. თოფურიას რეცენზიაში ქ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლზე „სიყვარული გარიჟრაჟზე“ ზომიერი, საქმიანი გარჩევის გვერდით ვხვდებით გადაჭარბებულ ქებათ-ქებას (მ. ჯაფარიძის მიერ პარასკას როლის შესრულება უზომო ეპითეტებით არის „შემკული“). ამავე დროს სტატიაში ვხვდებით „ზოდიებით“ კრიტიკას გ. შავგულიძისა და ა. კვანტლიანის მიმართ და „გამაბრუებელ“ კრიტიკას ახალგაზრდა მსახიობთა მიმართ.

ასევე ხოტბის ტონით არის დაწერილი ამავე ნომერში მოთავსებული ა. ბურთაიაშვილის სტატია „თბილისის რუსული თეატრის მზარდი შემოქმედი“ (მსახიობ ნ. ბურმისტროვას შესახებ). ამ პატარა სტატიაში, სხვა ეპითეტები რომ არ მოვიყვანოთ, მხოლოდ სიტყვა „ნიჭიერი“ (სხვადასხვა ვარიაციით) შეიდჯერ არის ნახმარი.

სტატიაში ნაჩვენები არ არის, რა საშუალებებით, რა დამოუკიდებელი, მისთვის დამახასიათებელი პროფესიული ხერხებით, „მხატვრული ენით“ შეძლო ნ. ბურმისტროვამ სხვადასხვა როლის გახსნა. მკითხველისათვის კი სწორედ ეს იყო საინტერესო და საჭირო.

ჟურნალის № 3-ში საკმაოდ მოზრდილი წერილია მიძღვნილი მოსკოვის კინოპატეონრის თეატრის გასტროლებისადმი თბილისში. რეცენზიაში ბევრია აღწერითი ხასიათის გარჩევა, ლამაზი ეპითეტები, „კრიტიკული“ შენიშვნებიც კი, მაგრამ ნაჩვენები არ არის მთავარი, ძირითადი, ის, თუ რისთვის არის შექმნილი ეს სპეციფიური თეატრი, რა მიზნებს ისახავს იგი და როგორ უპასუხებს ამ მიზნებს. მარტო იმის თქმა, რომ იგი „...ერთადერთია მსოფლიოში“, საკმარისი არ არის, სტატია ხელოვნებაზე. სასურველია ჟურნალში არცერთი სტატია არ იყოს ხელმოუწერელი.

მოყვანილი მაგალითები ერთხელ კიდევ გვაგონებს დრამატული თეატრების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომელშიც მითითებულია თეატრალური კრიტიკის, თეატრმცოდნეობის ჩამორჩენაზე. ჟურნალში არ არის არცერთი პრინციპული, კრიტიკული სტატია ქართული საბჭოთა თეატრისა და დრამატურგიის შესახებ. აქედან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანოს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციამ.

პროფესიული თვალსაზრისით გაუმართავი, ხშირად ზერელედ დაწერილი სტატიების და ცალკეული ადგილების მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, — ასეთებს სახვითი ხელოვნების და კინოხელოვნების დარგებისადმი მიძღვნილ წერილებშიც ვხვდებით.

საერთოდ ჟურნალში იგრძნობა ტენდენცია — იყოს ბევრი სტატია სხვადასხვა საკითხზე, ბევრი მასალა, ფაქტი. ბუნებრივია, რომ ამ დახავებული მასალის პროფესიულ, საქმიან გარჩევას ავტორები ზოგჯერ ვეღარ ახერხებენ ადგილის „სიმცირის“ გამო. ასეთი შთაბეჭდილებაა, მაგალითად, შ. ალხაზიშვილის მეტად საჭირო, პრინციპულ სტატიაში „ბურეუაზიული ხელოვნება ამერიკული იმპერიალიზმის სამსახურში“. აქ ორ გვერდზე ერთად არის გარჩეული მხატვრობა, სკულპტურა, დრამატურგია. უფრო საქმიანი იქნებოდა მახვილის დასმა ხელოვნების ერთ რომელიმე დარგზე.

მომავალში ჟურნალმა ხშირად უნდა მოთათავსოს ბურეუაზიული კოსმოპოლიტური ხელოვნებისა და ხელოვნებათმცოდნეობის მამხილებელი პრინციპული სტატიები.

ბევრია გასაკეთებელი მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საკითხების გაშუქების ხაზით. საქართველოში ამ ჩამორჩენილ დარგს განეთარება ესაჭიროება.

უდავოა, რომ კრიტიკულ სტატიაში აუცილებლად ნაჩვენები უნდა იყოს — მხატვარმა იდეური ჩანაფიქრის ხორცშესხმისათვის **რომელი** და **რატომ** სწორედ ეს ხერხი მოიმარჯვა, **როგორ** მიაღწია ან **ვერ** მიაღწია მხატვრულ სრულყოფას, დასახულ მიზანს. მხოლოდ ასეთი გარჩევა დაეხმარება დაკვირვებულ შემოქმედს შემდგომ მუშაობაში, ეს დაეხმარება საბჭოთა მკითხველს მხატვრული ნაწარმოების სწორად გაგებასა და შეფასებაში, ეს გაზრდის მის მხატვრულ გემოვნებას. სწორედ ეს უნდა იყოს საბჭოთა პოპულარული, მეცნიერული ჟურნალის მიზანი.

ყოველი ქართული საბჭოთა ჟურნალი თუ გაზეთი უნდა იბრძოდეს მშობლიური ენის სიწმინდისათვის. აქ კი ბევრი გვაქვს სასაყვედურო ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციისათვის. ჟურნალში ბევრია წერილი, რომლებშიც ვხვდებით სტილისტურ, გრამატიკულ ან კორექტურულ შეცდომებს. არის გაუმართავი, ხუნდოვანი, ცუდი ქართულით დაწერილი ადგილები.

განსაკუთრებით შეუწყნარებელია კორექტურული შეცდომები სპეციალური ტერმინების ხმარებაში. ასეთები კი ჟურნალში ბევრია. მაგალითად, იმპოსტების ნაცვლად წერია „იპოსტები“, პორტალის ნაცვლად „პირტალი“, პროექტების ნაცვლად „პროდუქტები“ (!). ეს შეცდომები მხოლოდ ერთ სტატიაშია („მთავრობის სახლის წინა კორპუსის არქიტექტურა“).

იმედი გვაქვს, რომ ჟურნალი მომავალში მაგალითის მაჩვენებელი იქნება ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის ბრძოლაში, ქართული საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობის ტერმინოლოგიის დადგენისა და დანერგვის საქმეში.

ხელოვნების ჟურნალში დიდი როლი ენიჭება საერთო გაფორმებას, ილუსტრაციებს პოლიგრაფიულ მხარეს. აქ ჟურნალი ძირითადად დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი ქართული სტანდის მუშაკების გაზრდილ პროფესიულ ოსტატობასა და საქმისადმი სიყვარულს მოწმობს. რადგან ამ მხრივ ჟურნალში ბევრია გაკეთებული, ეს უფლებას გვაძლევს მეტი მოვთხოვოთ რედაქციას ხელოვნების ჟურნალის მხატვრული გაფორმების გაუმჯობესების ხაზით. პირველ რიგში ეს ეხება რეპროდუქციებისა და ფოტომასალის შერჩევასა და განაწილებას.

უკეთესად არის შერჩეული და განაწილებული ფერადი რეპროდუქციები ჟურნალის № 1-2-ში; მაგრამ № 3-ში ეს საქმე ვერ დგას სათანადო დონეზე. მაგალითად, თავისი ხასიათით სრულიად განსხვავებული სურათების — კ. სანაძის „გალაკტიონ ტაბიძისა“ და კ. ხუციშვილის „ნატიურმორტის“ ერთმანეთის გვერდით მოთავსება მხატვრულად შეუსაბამოა. რეპროდუქციები ბევრი და ერთად დახვავებულია (მკითხველისათვის მომქანცველია 8-ან თუნდაც 4 ფერადი რეპროდუქციის ზედიზედ აღქმა). ჟურნალის № 1-2-ში სრულიად ამოვარდნილია ნომრის საერთო გაფორმებიდან ა. ვრცელიშვილის საბერლობის რუსული თეატრის დასის ჯგუფური ფოტო. ცალკეული ოსტატების ფოტოსურათები მეტად დიდი ზომისაა და ბევრგან ცუდად არის ფურცელზე განაწილებული. მაგალითად, ჟურნალის № 1-2-ში მომღერალ ლ. გიორგაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სტატიის ერთ გაშლილ ფურცელზე სამი საკმაოდ დიდი ზომის, მაგრამ სხვადასხვა მასშტაბის და ხასიათის სურათია მოთავსებული, რაც ერთგვარ სიჭრელეს ქმნის. ხშირად ზოგიერთი სურათის მხატვრული კომპოზიცია მხედველობაში არ არის მიღებული ჟურნალის ფურცლებზე მისთვის ადგილის მონახვის დროს.

განსაკუთრებით გადატვირთულია ჩანართი ფურცლები, ხოლო ფოტოქრონიკაში მასალის შერჩევა მოკლებულია მიზანდასახულობას. მასში ბევრი რამ არის ზედმეტი. საერთოდ ეს განყოფილება თავისი ხასიათით, ეფექრობთ, არ შეეფერება ჟურნალს, მით უმეტეს, რომ მას ხელოვნების ქრონიკის განყოფილება აქვს.

ორიოდე სიტყვა რეპროდუქციების წარწერებზე. ხელოვნების ჟურნალში სავალდებულოა ყველა ნაწარმოების, გარდა ავტორის ვინაობისა, მიწერილი ჰქონდეს რა მასალით არის შესრულებული, შესრულების თარიღი და სად ინახება (თუ ზ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის IX სესია

სოციალური, ჰუმანიტარული და კულტურული საკითხთა კომიტეტის სხდომა

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი. (საკდესი). 8 ნოემბერს სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა კომიტეტმა დაამთავრა საერთო დისკუსია ადამიანის მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტისა და ადამიანის ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის პროექტების შესახებ.

უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბოლივიის, ეთვოსლავიისა და სხვა ქვეყნების დელეგატებმა მხარი დაუჭირეს ამ პაქტების მთელ რიგ ისეთ პროგრესულ დებულებებს, როგორიც არის ხალხთა და ერთა თვითგამორკვევის უფლება, მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობა, ყველა სახეობის დისკრიმინაციის აკრძალვა, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების უფლება და სხვ.

უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს აგრეთვე სსრ კავშირის დელეგაციის აზრს, რომ საჭიროა ადამიანის უფლებათა პაქტებში შეტანილ იქნას მთელი რიგი დამატებითი დებულებანი, რომლებიც წამოყენებულია კომიტეტის სხდომაზე ოქტომბერში.

უკრაინის სსრ წარმომადგენელმა ნ. ე. კრუტიკოვამ აღნიშნა, რომ საჭიროა პაქტებში შეტანილ იქნას დებულებანი ქალის უფლებათა დასაცავად. უკრაინის რესპუბლიკის მაგალითით მან ცხადყო, თუ რა წარმატებები აქვს სსრ კავშირს ქალთა სრული თანასწორუფლებიანობის დარგში. უკრაინის სსრ წარმომადგენელმა მოითხოვა შეტანილ იქნას დებულებანი იმის შესახებ, რომ ქალებს, რომლებიც დაქირავებულ შრომას ეწევიან, ორსულობის დროს მიეცეთ შვებულება და ხელფასი სახელმწიფოს ან დამქირავებლის ხარჯზე.

ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა ი. ბ. უსმა მხარი დაუჭირა მოხლეს ხალხთა და ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ. მან თავისი რესპუბლიკის მაგალითით ცხადყო, თუ რა მიღწევები აქვს სსრ კავშირს ეროვნული საკითხის გადაჭრაში. ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროა პაქტები შეიცავდეს დებულებებით იმის შესახებ, რომ სოციალური უზრუნველყოფა და დაზღვევა ხორციელდებოდეს სახელმწიფოს ან დამქირავებლის ხარჯზე თვითეული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლორდმა კეკლე განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უარს ამბობენ დამტკიცონ პაქტები ადამიანის უფლებათა შესახებ. იგი სხვადასხვა ფორმალური საბაბით მოითხოვდა, რომ პაქტებიდან ამოღებულ იქნას ისეთი მუხლები, როგორიც არის ხალხთა და ერთა თვითგამორკვევის უფლება, და მუხლები, რომლებითაც აკრძალულია რასობრივი და ეროვნული მტრობის გაღვივება.

კოლონიურ სახელმწიფოთა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ პაქტებიდან ამოღებულ იქნას მუხლები ერთა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ და არ იქნას დაშვებული, რომ კოლონიებისა და არათვითმმართველი სახელმწიფოების ტერიტორიებზე დაუყოვნებლივ განხორციელდეს ადამიანის მინიმალური უფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ პაქტებით, გამოვიდნენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლები. ინდოეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მუხლი ხალხთა და ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ იქნება „ადამიანის ყველა სხვა უფლების განხორციელების საფუძველი". მხარი დაუჭირა რა ამ პროგრესულ დებულებებს, ბოლივიის წარმომადგენელმა, გარდა ამისა, აღნიშნა, რომ საჭიროა შეიზღუდოს უცხოეთის მონოპოლიათა საქმიანობა სუსტად განვითარებული ქვეყნების ტერიტორიებზე.

ადამიანის უფლებათა პაქტების პროექტების შესახებ საერთო დისკუსიის დამთავრების შემდეგ კომიტეტი შეუდგა პაქტების პროექტების შემდგომი განხილვის რიგის საკითხის განხილვას.

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). პოლიტიკური კომიტეტის 8 ნოემბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა მშვიდობიანი მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენების საერთაშორისო ორგანოს შექმნის საკითხის განხილვა. სხდომის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა შვიდი ქვეყნის — ავსტრალიის, ბელგიის, კანადის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგაციების სახელით შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომლითაც ატომის ენერგიის საერთაშორისო ორგანოსათვის, როცა იგი შეიქმნება, რეკომენდებულია „შეუთანხმდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სპეციალიზებულ დაწესებულებებთან შეთანხმებათა მსგავსი შეთანხმების სათანადო ფორმის შესახებ".

რეზოლუციის პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს, რომ არაუგვიანეს 1955 წლის აგვისტოსი მოწვეულ იქნას საერთაშორისო ტექნიკური კონფერენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობით მშვიდობიანი მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენების საშუალებათა შესასწავლად.

შემდეგ გამოსულმა საფრანგეთის წარმომადგენელმა ეიუე მოკმა მხარი დაუჭირა ამერიკის წინადადებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს რეზოლუციის ზემოხსენებულ პროექტს. მან აღიარა, რომ მშვიდობიანი მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხებში თანამშრომლობა შეიძლება საფასეზით მიღწეულ იქნას მხოლოდ მაშინ, როცა აღმოიფხვრება თერმონულეული ომის საფრთხე. მაგრამ მან დასძინა, რომ უნდა დამყარდეს და განვითარდეს ასეთი თანამშრომლობა და არ დაველოდოთ ომას, თუ როდის აღმოიფხვრება საფრთხე.

ბელგიისა და პოლანდიის წარმომადგენლებმაც მხარი დაუჭირეს შეტანილი რეზოლუციის პროექტს.

შემდეგ სიტყვა აიღო სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ი. ვიშინსკიმ. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების დელეგატები, თქვა ვიშინსკიმ, თავიანთ გამოსვლებში შეეხნენ განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს, და ყველა ეს გამოსვლა მოითხოვს ყურადღებით და კონკრეტულად შესწავლას. ამასთან ერთად სსენებული დელეგატების, და განსაკუთრებით ამერიკის დელეგატის მიერ აღძრული ზოგიერთი საკითხი საკმაოდ ნათელ წარმოდგენას არ იძლევა მშვიდობიანი მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენებაში საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციისა და საერთაშორისო ორგანოს განზრახული გეგმების შესახებ და, საბჭოთა დელეგაციის აზრით საჭიროებს განმარტებას. ასეთი განმარტების საჭიროებას იწვევს აგრეთვე ის გარემოება, რომ, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირს მონაწილეობა არ მიუღია იმ გეგმის შემუშავებაში, რომელიც აქ ჩამოყალიბა უმთავრესად ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ბ-ნმა ლოჯმა, აგრეთვე ინგლისს, კანადისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა, რომლებიც ამავე დროს პოლიტიკური კომიტეტის განსახილველად ახლა შემოტანილი რეზოლუციის პროექტის თანაავტორები არიან.

ვიშინსკიმ თქვა, რომ აღნიშნული გეგმა შეიცავს მნიშვნელოვან ცვლილებებს ღონისძიებათა იმ გეგმასთან შედარებით, რომელიც წინათ იყო გამოქვეყნებული, და იმ ფართო ამოცანებთან შედარებით, რომლებიც დასმული იყო 1953 წლის დეკემბერში გენერალური ასამბლეის წინაშე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ეიზენჰაუერის სიტყვაში. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა სთხოვა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს განმარტა, მაგალითად, რით აიხსნება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი წინადადება მშვიდობიანი მიზნებით ატომის ენერგიის გამოყენებაში საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის შესახებ ხღიდავს ასეთი თანამშრომლობის მოცულობასა და ფორმას წინანდელ წინადადებებთან შედარებით, განსაკუთრებით სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ტექნიკურ-ეკონომიური დახმარების მხრივ. ეს ფაქტი საეჭვოდ ცხადია, თუ იმ ფართო კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც დასახული იყო გასული წლის 8 დეკემბერს ჩამოყალიბებულ პირველ გეგმაში, და იმ ღონისძიებებს, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო მიმდინარე წლის 19 მარტის მემორანდუმში, დავუპირდაპირებთ ამოცანებს, რომლებიც ლოჯმა მოხსნა თავის სიტყვაში პოლიტიკური კომიტეტში 5 ნოემბერს. ეს საკითხი, განაცხადა ა. ი. ვიშინსკიმ, ჩვენი აზრით, მოითხოვს სერიოზულ ყურადღებას განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გასული წლის 8 დეკემბერს ჩამოყალიბებულ წინადადებებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმას, რომ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დასახულ ღონისძიებათა სპეციალური მიზანი უნდა ყოფილიყო ელექტროენერგიის სიუხვის უზრუნველყოფა მსოფლიოს ყველა რაიონისათვის, რომლებიც ელექტროენერგიის ნაკლებობას განიცდიან.

სასურველია, განაგრძო სსრ კავშირის წარმომადგენელმა, აგრეთვე ვიცოდეთ, თუ რით აიხსნება, რომ ახლანდელი წინადადება ასუსტებს ატომის ენერგიის საერთაშორისო საგენტოს პასუხისმგებლობას გენერალური ასამბლეის წინაშე და უშიშროების საბჭოს წინაშე, რამდენადაც ამჟამად ეს ორგანო ან ეს საგენტო, როგორც ლოჯის განცხადებიდან და ნაწილობრივ პოლიტიკური კომიტეტისათვის დღეს წარდგენილი რეზოლუციის პროექტიდანაც ჩანს, დასახულია გაერთიანებული ერების კულტურულ და ჰუმანიტარულ საკითხთა ორგანიზაციის მსგავსი სპეციალიზებული დაწესებულების სახით.

ვიშინსკიმ კომიტეტს მოაგონა, რომ 19 მარტის მემორანდუმში ეს საკითხები დასმულია სხვანაირად, რადგანაც მემორანდუმში პირდაპირ იყო ჩამოთვლილი მოხსენებანი, რომლებიც ამ ორგანომ უნდა გაუკეთოს გენერალურ ასამბლეას და უშიშროების საბჭოს.

ილაპარაკა რა ლოჯის სიტყვის იმ ნაწილზე, რომელშიც ამერიკის დელეგატი განსაზღვრავდა მომავალი საერთაშორისო საგენტოს წინაშე მდგომ ამოცანებს, ვიშინსკიმ თქვა, რომ მნიშვნელოვანი იქნებოდა გვცოდნოდა, სახელდობრ რა აქვთ მხედველობაში, როცა ლაპარაკობენ, რომ ეს ორგანო თავდანვე განახორციელებს თავისი მუშაობის მხოლოდ ნაწილს. ისეთი მუშაობისა, რომელიც, ლოჯის სიტყვით, „შეეფერება მას". მნიშვნელოვანი იქნებოდა გვცოდნოდა, თუ ამ მუშაობის სახელდობრ რა ნაწილი განკუთვნილი საერთაშორისო ორგანოსათვის თავიდანვე და რა უნდა ვიგულისხმოთ იმ მუშაობად, რომელიც „ყველაზე უფრო შეეფერება მას".

საბჭოთა კავშირის დელეგაციას, განაგრძო ვიშინსკიმ, სურს აგრეთვე იცოდეს, დასახულია თუ არა გეგმით და, თუ დასახულია, სახელდობრ რა ფორმით ისეთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელების რაიმე ღონისძიება, რომელიც გასული წლის 8 დეკემბრის განცხადებაში აგრეთვე გათვალისწინებული იყო, როგორც ამოცანა, რომ „შემცირდეს ატომის ენერგიის მსოფლიო მარაგის პოტენციური დამანგრეველი ძალა?" ნამდვილად კი რა არის დასახული ახლა, როცა ჩვენ ვიწყებთ ასეთი ორგანოს შექმნის საკითხის გადაჭრას?

თავის გამოსვლაში ვიშინსკიმ აგრეთვე აღნიშნა, რომ უსაფუძვლოა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის ლოჯისა და ზოგიერთი სხვა დელეგატის ცდები — საბჭოთა კავშირის პოზიცია ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხში დაგვიხატონ როგორც „ძირითადად უარყოფითი", როგორც უარის თქმა იმაზე, რომ ამ საკითხის შესახებ მოლაპარაკება გაიმართოს. საბჭოთა კავშირის პოზიციაზე ასეთი წარმოდგენა, თქვა ვიშინსკიმ, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

ამასთან დაკავშირებით ვიშინსკიმ დელეგატებს მოაგონა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მიმოწერა განსახილველ საკითხზე. მაგალითად, უპასუხა რა სახელმწიფო დეპარტამენტის ა. წ. 11 ივნისის ბარათზე, საბჭოთა მთავრობამ 19 ივნისს განაცხადა, რომ თანახმაა შეუდგეს პრეზიდენტ ეიზენჰაუერის 1953 წლის 8 დეკემბრის წინადადების განხილვას და რომ თანახმაა დაიწყოს მოლაპარაკება ამ წინადადების გამო. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობას ამერიკის შეერთებული შტატების წინადადების გამო მოლაპარაკების პირობად არ წამოუყენებია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წინასწარ დაეთანხმონ საბჭოთა წინადადებებს ატომური იარაღის აკრძალვის ან ამ იარაღის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ. თავის პასუხში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიმართ საბჭოთა მთავრობა აღნიშნავდა მხოლოდ იმას, რომ მიზანშეწონილია მოლაპარაკების მსვლელობაში განიხილონ იმ შეთანხმების დადების საკითხი, რომ შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოებმა იკისრონ უშვინშენო ვალდებულება — არ გამოიყენონ ატომური, წყალბადის და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღი. საბჭოთა მთავრობამ, ხაზგასმით აღნიშნა ვიშინსკიმ, გამოთქვა აზრი, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ამ საკითხის განხილვა მოლაპარაკების დროს, ხოლო ამას ზოგიერთი დელეგატი იყენებს იმის „საბუთად", რომ საბჭოთა მთავრობა თითქოს „უარს" ამბობს აწარმოოს მოლაპარაკება. ამასთან ვიშინსკიმ მოაგონა დამსწრეთ, რომ ეს სურვილი საბჭოთა მთავრობამ გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 11 ივნისის სამახსოვრო ბარათთან დაკავშირებთან, რომელშიც პირდაპირ იყო აღნიშნული, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან განიხილონ ყოველგვარი წინადადება, რომლის შემოტანას საბჭოთა კავშირი საჭიროდ მიიჩნევს ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის შესახებ".

მე ვფიქრობ, თქვა ვიშინსკიმ, რომ ზემონაქვამი საკმარისია, რათა ცხადვყოთ, თუ რამდენად უსაფუძვლოა მტკიცება, თითქოს საბჭოთა კავშირმა უარყო ან უარყოფითად მოეკიდა მოლაპარაკებას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა უფლება დაიტოვა შემდეგში გამოვიდეს განსახილველი საკითხის არსის გამო, აგრეთვე იმ რეზოლუციის პროექტის გამო, რომელიც ქვეყნების ჯგუფმა წარადგინა.

ამერიკის თვითმფრინავები აჩეჩავენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცეს

პეკინი, 10 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტის ცნობით, 7 და 8 ნოემბერს ამერიკის 50 სამხედრო თვითმფრინავი ექვს ჯგუფად შეიჭრა ჯეძეანის პროვინციის სანაპირო რაიონების საჰაერო სივრცეში.

7 ნოემბერს ამერიკის თორმეტი სამხედრო თვითმფრინავი გამოჩნდა კუნძულ ტოუმენშანის, კუნძულ ნანტიანისა და იმ რაიონის საჰაერო სივრცეში, რომელიც მდებარეობს 20 კილომეტრზე ნინბოს აღმოსავლეთით ჯეძეანის პროვინციაში. იმავე დღეს 11 საათსა და 09 წუთსა და 11 საათსა და 16 წუთს შორის ამერიკის ოთხი სამხედრო თვითმფრინავი გამოჩნდა კუნძულ სანშინის, კუნძულ ნანტიანის, ნინბოს სამხრეთ-აღმოსავლეთით 20 კილომეტრზე მდებარე რაიონის, ნინბოს სამხრეთით 20 კილომეტრზე მდებარე რაიონისა და ჯეძეანის პროვინციის სიანშანის მიდამოების საჰაერო სივრცეში. და იმავე დღეს 13 საათსა და 39 წუთზე ამერიკის თორმეტი სამხედრო თვითმფრინავი გამოჩნდა კუნძულ ნანტიანის საჰაერო სივრცეში.

ამერიკის სამხედრო თვითმფრინავთა ეს სამი ჯგუფი გაემართა ზღვისაკენ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, როცა მათ დასახვედრად აფრინდნენ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის თვითმფრინავები.

8 ნოემბერს 10 საათსა და 10 წუთსა და 10 საათსა და 16 წუთს შორის ამერიკის ოთხმა სამხედრო თვითმფრინავმა გადაუფრინა კუნძულ ტიანაუს ძეჯიანის პროვინციის სანაპიროსთან. იმავე დღეს 13 საათსა და 00 წუთსა და 13 საათსა და 04 წუთს შორის ამერიკის ექვსი თვითმფრინავი გამოჩნდა კუნძულ ტუნჯიშანის საჰაერო სივრცეში ძეჯიანის პროვინციის სანაპიროსთან და ორი წრეს შემოვლის შემდეგ შეიჭრა კუნძულ ტოუმენშანის და კუნძულ ტიანაუს საჰაერო სივრცეში. სამი მათგანი დაზვერვას ეწეოდა მცირე სიმაღლიდან. ამ თვითმფრინავებს, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის იმ მეომართა მოწმობით, რომლებიც სათვალთვალო საგუშაგოზე იყვნენ, ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების გამოსაცნობი ნიშნები ჰქონდათ.

ამერიკის სამხედრო თვითმფრინავთა უკანასკნელი სამი ჯგუფი, რომლებიც ჩინეთის საჰაერო სივრცეში შეიჭრნენ, წავიდა ზღვისაკენ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მას შემდეგ, რაც სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საზენიტო არტილერიამ მათ სროლა აუტეხა.

ფატემი სიკვდილით დასაჯეს

ლონდონი, 10 ნოემბერი. (საკდესი). რეუტერის საგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, რომ დღეს დახვრიტეს ირანის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ჰოსეინ ფატემი.

გენერალურმა სამხედრო პროკურორმა აზმუდემ განაცხადა, რომ ფატემი „დახვრიტეს ფეხზე მდგომი (თუმცა იგი მძიმე ავადმყოფი იყო და სასამართლოს სხდომებზეც კი საკაცით მიჰყავდათ. — **რედ.**). და რომ იგი მამაცურად შეხვდა სიკვდილს".

საერთაშორისო საჰაერაკო ტურნირი ბელგრადში

ბელგრადი, 10 ნოემბერი. (საკდესი). ბელგრადის საერთაშორისო საჰაერაო ტურნირზე გაიმართა წინა ტურების დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება. ყაიმით დამთავრდა ბარცაიოპენის, მილიჩ-იოპენისა და ნიეერგელტ-გლიგორიჩის პარტიები. იოპენმა მოუგო ნედელკოვიჩს, ჩერნიაკმა — რაბარს.

გათამაშებულია წინა ტურების ყველა პარტია, რასაც სიცხადე შეაქვს ყველა მონაწილის მდგომარეობაში. ბრონშტეინს აქვს 11,5 ქულა 16 შესაძლებელში; ტიფფუნოვიჩსა და მატანოვიჩს — 10,5 ქულა თვითეულს; პეტროსიანსა და პილნიკს — 10 ქულა თვითეულს; ივკოვს — 9,5 ქულა; ჯუროშევიჩსა და ბარცას — 9 ქულა თვითეულს; გლიგორიჩს — 8,5; მილიჩსა და ჩერნიაკს — 8 ქულა თვითეულს; ნედელკოვიჩსა და ივანოშევიჩს — 7.5 ქულა თვითეულს; პირცს, კარაკლაიჩსა და იოპენს — 7 ქულა თვითეულს; რაბარს — 6,5; პორე